პროლეტარებო ყველა ქვეყნისა, შეერთდით!

კომუნისტი

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის, თბილისის კომიტეტისა და საქართველოს სსრ მშრომელთა დეპუტატების საბჭოების ორგანო

КОМУНИСТИ ОРГАН ЦЕНТРАЛЬНОГО и ТБИЛИССКОГО КОМИТЕТОВ КП (б) ГРУЗИИ и СОВЕТОВ ДЕПУТАТОВ ТРУДЯЩИХСЯ ГРУЗИНСКОЙ ССР

სამშაბათი, 30 ივლისი, 1946 წ. № 151 (7524) ფასი 20 კაპ.

დღეს გაზეთში:

მშრომელთა საჭიროებისათვის ზრუნვა ყოველი საბჭოთა მუშაკის მოვალეობა. „პრავდის“ 29 ივლისის მოწინავე (1-ლი გვერდი).

პარიზის საზავო კონფერენციაზე (1-ლი გვერდი).

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაული (მე-2 გვერდი).

საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ბრწყინვალე ეპოპეა. თბილისის კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმი „ფიცი“ (მე-3 გვერდი).

მ. დელბა — შენიშვნები ევკალიპტის კულტურის შესახებ (მე-3 გვერდი).

უცხოეთის ამბები: დეპეშები (მე-4 გვერდი).

მშრომელთა საჭიროებისათვის ზრუნვა ყოველი საბჭოთა მუშაკის მოვალეობა

ხალხის კეთილდღეობისათვის, მშრომელთა ინტერესებისათვის ზრუნვით გამსჭვალულია ბოლშევიკური პარტიისა და საბჭოთა მთავრობის მთელი მოღვაწეობა. ომიანობის დროის ძნელ პირობებშიც კი, როცა ჩვენი ქვეყნის მთელი ყურადღება, მთელი ძალები, მთელი მატერიალური საშუალებანი მიმართული იყო ფრონტის დასახმარებლად, პარტია და მთავრობა განუწყვეტლივ იჩენდნენ მზრუნველობას მოსახლეობის საჭიროებისათვის, მისი ცხოვრების პირობებისათვის. საკმარისია გავიხსენოთ, რომ როცა ომი იყო გაჩაღებული, ამხანაგ სტალინის მითითებით დაიწყო სარატოვ-მოსკოვის გაზსადენის აგება დედაქალაქის მშრომელთა საყოფაცხოვრებო პირობების გასაუმჯობესებლად. ომიანობის დროის ძნელი პირობების მიუხედავად, შეუფერხებლად მუშაობდნენ სკოლები. უფრო მეტი, სწორედ ომიანობის დროს განხორციელებულ იქნა სკოლების სასწავლო-აღმზრდელობითი მუშაობის ძირეული გაუმჯობესებისაკენ მიმართული უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი. ომიანობის დროსვე მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება მრავალშვილიანი დედებისათვის სახელმწიფო დახმარების გაძლიერების შესახებ. სამამულო ომის ფრონტებზე ჯერ კიდევ სწარმოებდა მძაფრი ბრძოლები, საბჭოთა სახელმწიფო კი უკვე შეუდგა აღდგენით სამუშაოებს მტრისაგან განთავისუფლებულ რაიონებში, უდიდესი დახმარება აღმოუჩინა გერმანელთა შემოსევის შედეგად უსახლკაროდ დარჩენილ მილიონობით მშრომელებს.

იწყებს რა ახალი ხუთწლედის გრანდიოზული გეგმის განხორციელებას, პარტია ხელმძღვანელობს ხალხის ინტერესებით, საბჭოთა ადამიანების ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის ზრუნვით.

„განსაკუთრებული ყურადღება, — მიგვითითებდა ამხანაგი სტალინი, ახასიათებდა რა ახალი ხუთწლედის ძირითად ნიშნებს, — მიექცევა ფართო მოხმარების საგნების წარმოების გადიდებას, მშრომელთა საარსებო დონის ამაღლებას...“.

სტალინის ამ სიტყვებში მოცემულია ყოველი საბჭოთა მუშაკის მუშაობის პროგრამა, მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულება. რა პოსტზეც უნდა იყოს იგი, მუშაობის რა დარგსაც უნდა ხელმძღვანელობდეს, იგი მოვალეა ახსოვდეს, რომ საბჭოთა ადამიანების საჭიროებისადმი ყურადღება მისი პირდაპირი ვალი, მისი წმიდა მოვალეობაა.

თუ ომის წლებშიც პარტია და საბჭოთა მთავრობა ყველა პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო ხელმძღვანელისაგან მოითხოვდა მოსახლეობის საჭიროებისათვის ყოველდღიურ მზრუნველობას, ახლა, მშვიდობიანი მშენებლობის პირობებში, ამ საჭიროების დაკმაყოფილების შესაძლებლობანი გაიზარდა. ბევრ რამეში ახლა საქმე დამოკიდებულია მუშაკთა ინიციატივაზე, იმაზე, თუ რამდენად შესწევთ მათ უნარი გამოიყენონ ადგილობრივი შესაძლებლობანი, რამდენად ესმით თავიანთი პასუხისმგებლობა პარტიის წინაშე, სახელმწიფოს წინაშე მშრომელთა ყოველდღიური საჭიროების დაკმაყოფილებისათვის. სამწუხაროდ, ჩვენში ჯერ კიდევ არიან ადამიანები, რომლებიც თავიანთ უსაქმურობასა და უუნარობას მალავენ უსაფუძვლო მითითებით „ომისშემდგომ სიძნელეებზე“ და არ აკეთებენ იმას, რაც მათ მოეთხოვებათ, რასაც მათ აკისრებს სახელმწიფოებრივი და პარტიული მოვალეობა.

ჩვენ, მართლაც, საკმაოდ ბევრი სიძნელე გვაქვს. მაგრამ დაუძლეველი სიძნელენი არ არსებობს. ეს სიძნელენი შეიძლება დავძლიოთ და კიდევაც უნდა დავძლიოთ ბოლშევიკური ორგანიზებულობით, ინიციატივით, ენერგიული მუშაობით, ადამიანებზე სტალინური ზრუნვით.

შარშან ამხანაგ სტალინის ინიციატივით მთავრობამ მიიღო გადაწყვეტილება, რომ რსფს რესპუბლიკის იმ რაიონებში, რომლებმაც გერმანული ოკუპაცია განიცადეს, კოლმეურნეები უმოკლეს ვადაში ყოფილიყვნენ გადაყვანილნი მიწურებიდან კეთილმოწყობილ ბინებში. წელს ეს სამუშაო დამთავრებულ უნდა იქნას. მაგრამ კოლმეურნეთათვის სახლების მშენებლობის გეგმა 1 ივნისისათვის მხოლოდ 16,3 პროცენტით იყო შესრულებული. განსაკუთრებით ჩამორჩნენ ისეთი ოლქები, როგორიც არიან ბრიანსკისა, ორიოლისა, ფსკოვისა. ეს იმით აიხსნება, რომ ამ ოლქების პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა შეასუსტეს ყურადღება მშენებლობისადმი, დაივიწყეს, რომ საქმე ეხება კოლმეურნე გლეხობის უაღრესად მწვავე, უაღრესად საარსებო საჭიროების დაკმაყოფილებას, პარტიის, მთავრობის, ამხანაგ სტალინის უმნიშვნელოვანესი დავალების შესრულებას.

ავიღოთ მეორე მაგალითი. შემოდგომა, მისი წვიმებითა და ყინვებით, შორს აღარ არის. თვითეული საბჭოთა და სამეურნეო ხელმძღვანელის თითქოს ელემენტარული მოვალეობაა იზრუნოს საცხოვრებელი სახლებისა და საერთო საცხოვრებლების წესრიგზე მოყვანისათვის — რემონტისათვის, სათბობის მიზიდვისათვის. მაგრამ არიან ისეთი მუშაკები, რომლებსაც ეს არ აწუხებს, არ აღელვებს.

ამას წინათ ოდესის მანქანათმშენებელი ქარხნის მუშათა ჯგუფმა „პრავდას“ მისწერა მათი საერთო საცხოვრებლის მდგომარეობის შესახებ: შენობა ნესტიანია, გარშემო ჭუჭყია, ფანჯრები ჩამტვრეულია, საღამოს დადგომისთანავე ყველაფერი წყვდიადში ინთქმება — არ არის შუქი, გაზეთებსა და ჟურნალებს ვერსად იპოვნით. როგორც უკრაინის კ. პ. (ბ) ოდესის საოლქო კომიტეტი იტყობინება, წერილში აღნიშნული ყველა ფაქტი დადასტურდა. საოლქო კომიტეტის ბიურომ სასჯელი დაადო ქარხნის დირექტორს ამხ. მანიუკს და ადმინისტრაციულ-სამეურნეო განყოფილების გამგეს ამხ. ლესნიკოვს და დაავალა მათ ხუთი დღის ვადაში აღმოფხვრან მთელი ის უწესრიგობა, რასაც მუშები უჩიოდნენ. მეტად საგულისხმო ფაქტია. გამოდის, რომ ხუთ დღეში შეიძლება იმის გამოსწორება, რაც სიცოცხლეს უწამლავდა რამდენიმე ათეულ ადამიანს, ქარხნის ხელმძღვანელები კი ამ ნაკლოვანებათა გვერდით თვეობით დადიოდნენ და მათ ვერ ამჩნევდნენ. საბჭოთა ადამიანების საჭიროებისადმი მხოლოდ ბიუროკრატიული, უსულგულო დამოკიდებულებით, სამსახურებრივი მოვალეობის მხოლოდ სრული დავიწყებით შეიძლება აიხსნას ასეთი მდგომარეობა!

ანდა ავიღოთ იაროსლავლის სასოფლო-სამეურნეო მანქანათმშენებლობის ქარხანა. სახელმწიფომ ამ ქარხანას საცხოვრებელი სახლების შესაკეთებლად თითქმის 300 ათასი მანეთი მისცა, მაგრამ ქარხნის დირექტორმა ამხ. სმირნოვმა ამ თანხიდან მხოლოდ 32 ათასი გამოიყენა, თუმცა სახლებს უკიდურესად ესაჭიროებათ რემონტი. ხოლო როდესაც იაროსლავლის საოლქო კომიტეტის ბიურომ ეს საკითხი განიხილა და სმირნოვს საყვედური გამოუცხადა, იგი ნახევარ საათს ცდილობდა დაერწმუნებინა ბიუროს წევრები, რომ მას ისეთი არაფერი ჩაუდენია, რისთვისაც უნდა დაისაჯოს. მისთვის ბიუროს გადაწყვეტილების შემდეგაც კი გაუგებარი იყო, რომ პარტია არ იწყნარებს თავის წევრთა უგულებელყოფით დამოკიდებულებას მშრომელთა საჭიროებისადმი, რომ იგი, როგორც საბჭოთა სამეურნეო მუშაკი, მოვალეა იზრუნოს არა მარტო საწარმოო პროგრამის შესრულებისათვის, არამედ მუშათა საყოფაცხოვრებო პირობებისთვისაც, რომ ეს მისი პირდაპირი მოვალეობაა.

გამოცდილება გვიჩვენებს, რომ იქ, სადაც ჯეროვნად ზრუნავენ მშრომელთა საჭიროებისათვის, იჩენენ ინიციატივას, შესწევთ მთელი ადგილობრივი რესურსების გამოყენების უნარი, იქ რეალურია ხოლმე საბინაო მშენებლობის უფართოესი პროგრამა. ამას, კერძოდ, მოწმობს მაგნიტოგორსკის მშენებელთა გამოცდილება, რომლის შესახებაც „პრავდაში“ დღეს გამოქვეყნებულ სტატიაში მოგვითხრობს ტრესტ „მაგნიტოსტროის“ უფროსი ამხ. დიმშიცი. ეს მაგალითი ფრიად საგულისხმოა ყველა სამშენებლო ორგანიზაციისათვის, კერძოდ დონბასისათვის, სადაც საბინაო ფონდის აღდგენა და მშენებლობა მკვეთრად ჩამორჩა სამრეწველო საწარმოების აღდგენას.

საბჭოთა ადამიანებზე ზრუნვა ყოველი მუშაკისაგან—პარტიული, საბჭოთა, სამეურნეო მუშაკისაგან — მოითხოვს ყურადღებიან დამოკიდებულებას მშრომელთა იმ საჩივრებისა და განცხადებებისადმი, რომლებიც მას მისდის. შეუწყნარებელია ისეთი მდგომარეობა, როცა ადამიანები ჩვენი დაწესებულებების კარს არ შორდებიან, დაიარებიან, ამტკიცებენ, სთხოვენ—და აწყდებიან, როგორც ყრუ კედელს, ზოგიერთი იმ მუშაკის უსულგულობასა და ბიუროკრატიზმს, რომლებსაც დავიწყებიათ თავიანთი სამსახურებრივი მოვალეობა. მოვიყვანთ ერთ მაგალითს. ერთი სამხედრო ნაწილის მეთაურის მოადგილემ პოდპოლკოვნიკმა პარშინმა „პრავდას“ მიმართა წერილით, რომელშიც ლაპარაკია აღმაშფოთებელ ფაქტზე, რასაც დნეპროპეტროვსკში ჰქონდა ადგილი. ნაწილის სარდლობა ორი წელიწადია ცდილობს მიაღწიოს იმას, რომ დნეპროპეტროვსკის ორგანიზაციებმა უფროსი სერჟანტის ამხ. ვასილევსკის ოჯახს მისცენ ის შეღავათები, რაც მას კანონით ეკუთვნის. სარდლობა სწერდა საოლქო საბჭოს აღმასკომის თავმჯდომარეს, ოლქის პროკურორს, პარტიის საოლქო კომიტეტის მდივანს, ბოლოს, უკრაინის სს რესპუბლიკის პროკურატურას, მაგრამ არცერთი მათგანისაგან პასუხიც კი არ მიუღია. დნეპროპეტროვსკელი მუშაკების არავითარი მოუცლელობით არ შეიძლება ასეთი ფაქტის არც ახსნა, არც გამართლება!

საბჭოთა მუშაკს უფლება არა აქვს, როდესაც ლაპარაკია მშრომელთა საჭიროებაზე, თავი იმართლოს იმით, რომ იგი აშენებს ქარხანას, ხელმძღვანელობს მოსავლის აღებას, ასრულებს პურის ჩაბარების გეგმას და ამიტომ მას „არა სცალია“. ასეთი მსჯელობა იმას ნიშნავს, რომ ხეებს იქით ტყე ვერ შევამჩნიოთ. საბოლოო ანგარიშით, ქარხნების მშენებლობა, მოსავლის აღება, დამამზადებელ პუნქტებში პურის ჩაბარება ხომ იმიტომ სწარმოებს, რომ უფრო უკეთესად, უფრო უზრუნველყოფილად, უფრო კულტურულად იცხოვრონ ჩვენმა, საბჭოთა ადამიანებმა! ეს კი იმას ნიშნავს, რომ საბჭოთა მუშაკს უფლება არა აქვს დაივიწყოს ბინების მშენებლობა და რემონტი, სკოლა, მაღაზია, სასადილო, ის ყოველდღიური საჭიროება, რომლისთვისაც მას მშრომელები მიმართავენ.

პარტია და საბჭოთა მთავრობა ეწევიან მოსახლეობის საარსებო დონის ამაღლებისაკენ მიმართულ უდიდეს მუშაობას. მშრომელთა ყოველდღიური საჭიროებისადმი უფრო მეტი ყურადღება, უფრო მეტი მზრუნველობის, ინიციატივისა და პასუხისმგებლობის გამოჩენა იქ, სადაც საქმე ამ საჭიროების დაკმაყოფილებას ეხება,—ყოველი საბჭოთა მუშაკის პირდაპირ ვალს, უპირველეს მოვალეობას შეადგენს. ამას მოითხოვს მისგან პარტია, ამას ასწავლის მას პარტიისა და ხალხის დიდი ბელადი ამხანაგი სტალინი.

„პრავდის“ 29/VII მოწინავე

ფიზკულტურელთა საკავშირო პარადი მოსკოვში. სურათზე: საქართველოს სსრ ფიზკულტურელთა დელეგაცია.
ფოტო დ. ჩერნოვისა (საკდესის ფოტოქრონიკა).

საზავო კონფერენციის წინ

პარიზი, 28 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). ამრიგად, ხვალ დღის 4 საათზე ლუქსემბურგის სასახლეში გაიხსნება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მოწვეული კონფერენცია იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთისა და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა განსახილველად. ამ კონფერენციის მუშაობაში, სსრ კავშირის, ამერიკის შეერთებული შტატებისა და დიდი ბრიტანეთის საგარეო საქმეთა მინისტრების მოსკოვის თათბირის ცნობილ გადაწყვეტილებათა თანახმად, მონაწილეობას მიიღებს გაერთიანებული ერების ყველა წევრი რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ომში მტრული სახელმწიფოების წინააღმდეგ ევროპაში, — ამერიკის შეერთებული შტატები, სსრ კავშირი, დიდი ბრიტანეთი, საფრანგეთი, ჩინეთი, ავსტრალია, ბელგია, ბელორუსიის სსრ, ბრაზილია, ჰოლანდია, საბერძნეთი, ინდოეთი, კანადა, ახალი ზელანდია, ნორვეგია, პოლონეთი, უკრაინის სსრ, ჩეხოსლოვაკია, ეთიოპია, იუგოსლავია, სამხრეთ აფრიკის კავშირი.

ამ სახელმწიფოთა მრავალრიცხოვანი დელეგაციები უკვე ჩამოვიდნენ პარიზს, მათი წევრები ამჟამად ეცნობიან საზავო ხელშეკრულებათა პროექტებს, რომლებიც საკმაოდ დიდ ტომებს წარმოადგენენ და დაბეჭდილია სამ ენაზე — ინგლისურ, ფრანგულ და რუსულ ენაზე.

როგორც ცნობილია, საზავო ხელშეკრულებათა მომზადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ 18 ივლისს დაამთავრა. ამ დიდი და პასუხსაგები სამუშაოს მსვლელობაში მიღწეულ იქნა შეთანხმება საზავო ხელშეკრულებათა მეტი წილი და ამასთან ყველაზე არსებითი მუხლების შესახებ. საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს შეთანხმებულ გადაწყვეტილებათა მნიშვნელობა ხალხთა ურთიერთგაგებისა და მეგობრობის შემდგომი განმტკიცებისათვის ღირსეულად შეაფასა მსოფლიოს ყველა ქვეყნის მოწინავე საზოგადოებამ.

ამრიგად, წარმატებით დამთავრდა ფაშისტური გერმანიის დამარცხებულ სატელიტებთან საზავო ხელშეკრულებათა მომზადების პირველი ეტაპი. ახლა, როცა 21 სახელმწიფოს კონფერენცია იხსნება, ეს მუშაობა თავის მეორე ფაზაში შევა. გაერთიანებული ერების ყველა წევრს, რომლებიც აქტიურად მონაწილეობდნენ ომში მტრული სახელმწიფოების წინააღმდეგ, საშუალება ექნება გულდასმით და ყოველმხრივ შეისწავლოს საზავო ხელშეკრულებათა პროექტები და თავისი რეკომენდაციები მისცეს საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს.

კონფერენციის მუშაობას მით უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება, რომ, თუმცა საზავო ხელშეკრულებათა ძირითადი მუხლები შეთანხმებულია, საკითხების ერთი ნაწილი ჯერ კიდევ გადასაწყვეტია. საზავო კონფერენციის მონაწილეებს ეკისრებათ პასუხსაგები ამოცანა — მონაწილეობა მიიღონ საზავო ხელშეკრულებათა პროექტების განხილვაში და, კერძოდ, გადაუწყვეტელი საკითხების მთელი რიგი მუხლების შემუშავებაში.

ამ გადაუწყვეტელი საკითხების რიცხვს ეკუთვნიან, მაგალითად, ისეთი დიდმნიშვნელოვანი ეკონომიური პრობლემები, როგორიც საკითხი გაერთიანებული ერების მოქალაქეების საკუთრებისათვის მიყენებული ზარალის ანაზღაურების, ამ ანაზღაურებასთან დაკავშირებული დავის გადაწყვეტის მეთოდის შესახებ და სხვა. ამრიგად, საზავო კონფერენციის მონაწილეებმა არა მარტო უნდა გამოსთქვან აზრი საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს წევრთა მიერ შეთანხმებულ საზავო ხელშეკრულებათა მუხლების შინაარსზე, არამედ წინადადებებიც უნდა შეიტანონ იმ საკითხებზე, რომლებიც ჯერ კიდევ მოელიან გადაწყვეტას.

ამ კონფერენციის წარმატება მთლიანად დამოკიდებული იქნება იმაზე, თუ რამდენად სწორად გადასწყვეტენ მისი მონაწილენი მათ წინაში მდგომ ამოცანებს. ხაზგასმით უნდა აღინიშნოს, რომ საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ გაწეული დიდი მუშაობა კონფერენციის მონაწილეებს უადვილებს საქმიანობას. მათს განკარგულებაშია ძირითად საკითხებზე შეთანხმებული საზავო ხელშეკრულებათა მზა პროექტები.

მაშასადამე, 21 ერის კონფერენციის მონაწილეებს ყველა შესაძლებლობა აქვთ, რომ წარმატებით დაამთავრონ საზავო ხელშეკრულებათა მომზადების მეორე ფაზა, გადალახონ ყველა სიძნელენი, რომლებიც უეჭველია, ჯერ კიდევ შეხვდებათ. როცა ეს სამუშაო შესრულებული იქნება, სახელმწიფოებს, რომლებმაც ხელი მოაწერეს იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთისა და ფინეთთან დროებითი ზავის პირობებს, და იტალიასთან საზავო ხელშეკრულების მიმართ მათთან გათანაბრებულ საფრანგეთს, განიხილავენ რა საზავო კონფერენციის რეკომენდაციებს, შეეძლებათ შეადგინონ საზავო ხელშეკრულებათა საბოლოო ტექსტები. გამარჯვებული ქვეყნები ამით ახალ დიდს წვლილს შეიტანენ ხალხთა მშვიდობისა და უშიშროების შემდგომი განმტკიცების საქმეში.

პარიზის პრესა დიდ ყურადღებას უთმობს ამ საზავო კონფერენციას. მთელ რიგ გაზეთებში კონფერენციის პერსპექტივებზე გამოქვეყნებულია სენსაციური წინასწარმეტყველებანი და ვარაუდები, რაც ხშირად აგებულია წინასწარ-აღებულ კონცეფციებზე. ვითომ გარდუვალია უთანხმოება დიდსა და მცირე სახელმწიფოთა შორის. უფრო შორსმჭვრეტელი და სერიოზული მიმომხილველნი აღნიშნავენ, რომ საზავო კონფერენციის მსვლელობაში არ შეიძლება თავი არ იჩინოს ოთხ დიდ სახელმწიფოს შორის უკვე მიღწეული შეთანხმების გავლენამ, რამდენადაც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ საზავო კონფერენციისათვის რეკომენდებული გადაწყვეტილებანი შეესაბამებიან ყველა გაერთიანებული ერის, როგორც დიდის ისე მცირეს, ინტერესებს.

საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა თათბირი

პარიზი, 28 ივლისი. (საკდესი). დღეს პარიზში, ლუქსემბურგის სასახლეში, ა. ი. ვიშინსკის თავმჯდომარეობით შესდგა საგარეო საქმეთა მინისტრების მოადგილეთა სხდომა. მოადგილეებმა განიხილეს საბჭოთა დელეგაციის წინადადება საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ მომზადებული საზავო ხელშეკრულებათა პროექტების გადაცემის შესახებ იტალიის, რუმინეთის, ბულგარეთის, უნგრეთისა და ფინეთის მთავრობებისათვის. საბჭოთა დელეგაციის წინადადების განხილვის შემდეგ, მოადგილეთა თათბირზე დასახულ იქნა გადაწყვეტილება, რომ ზემოაღნიშნულ ქვეყნებს საზავო ხელშეკრულებათა პროექტები გადაეცეს 29 ივლისს იმ სახით, როგორც ისინი მომზადებული იყო საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს მიერ და დაეგზავნათ პარიზის საზავო კონფერენციის მონაწილე ქვეყნების მთავრობებს.

შემდეგ მოადგილეებმა მოამზადეს რეკომენდაციები 21 სახელმწიფოს პარიზის საზავო კონფერენციის პირველი სხდომის დღის წესრიგის მიხედვით.

მოადგილეთა სხდომაზე განხილულ და მიღებულ იქნა აგრეთვე საფრანგეთის დელეგაციის წინადადება, რომ კონფერენციას რჩევა მიეცეს შექმნას სამანდატო კომისია ავსტრალიის, ბრაზილიის, ჰოლანდიის, ჩინეთისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. საბჭოთა დელეგაციის წინადადებით გადაწყდა წამოყენებულ იქნას რეკომენდაცია, რომ სამანდატო კომისიის შემადგენლობაში დამატებით იქნას შეყვანილი ბელორუსიის სსრ და ეთიოპიის დელეგაციების წარმომადგენლები. შემდეგ მოადგილეებმა განიხილეს და დადებითად გადასჭრეს საკითხი, რომ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგვე ლი მოწვეულ იქნას საპატიო სტუმრად პარიზის საზავო კონფერენციაზე.

პარიზის საზავო კონფერენციაზე

პარიზი, 29 ივლისი. (საკდესის სპეც. კორ.). დღეს ლუქსემბურგის სასახლეში გაიხსნა საზავო კონფერენცია, რომელიც მოწოდებულია განიხილოს იტალიასთან, რუმინეთთან, ბულგარეთთან, უნგრეთთან და ფინეთთან საზავო ხელშეკრულებათა პროექტები.

ძველებური სასახლის ფრონტონი მორთულია 21 ერის ალმებით. დელეგაციები მრავალი ექსპერტის, თანამშრომლების, აგრეთვე ჟურნალისტების თანხლებით პარიზს ჩამოვიდნენ დედამიწის ყველა კუთხიდან, რათა მონაწილეობა მიიღონ კონფერენციის მუშაობაში. მცირე სიდიდის მომრგვალო, ოქროს ვარაყით, ფრესკებითა და საფრანგეთის სახელმწიფო მოღვაწეთა მარმარილოს ქანდაკებებით მორთული დარბაზი კონფერენციაზე ყველა ჩამოსულს ვერ დაიტევს. ამიტომ დარბაზში შესვლა სასტიკად შეზღუდულია. დელეგაციების ადგილები განაწილებულია ფრანგული ალფაბეტის რიგის მიხედვით, ჯერ ავსტრალია, მას შემდეგ კი სხვა ქვეყნები. თუმცა, დარბაზში დამსწრეთ თვალში ეცემოდათ, რომ ზოგიერთი დელეგაციისათვის გამონაკლისი დაუშვიათ. პირველ რიგში რატომღაც ამერიკის შეერთებული შტატების დელეგატებიც აღმოჩნდნენ, თუმცა ეს ალფაბეტს არ შეესაბამება.

16 საათზე სხდომის დარბაზში შემოდიან იმ სახელმწიფოთა დელეგაციები, რომლებიც წარმოდგენილი არიან საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოში,—ვ. მ. მოლოტოვი, ბირნსი, ეტლი. ბიდო, აგრეთვე სხვა დელეგაციების ხელმძღვანელები.

საფრანგეთის პრემიერ-მინისტრი ტრიბუნაზე ადის. ბიდო ფრანგი ხალხის სახელით მიესალმება მოკავშირე და მეგობარი ერების დელეგაციებს, რომლებიც პარიზს ჩამოვიდნენ, რათა იმსჯელონ ომისშემდგომი მსოფლიოს მოწყობაზე. იგი რწმენას გამოსთქვამს, რომ 21 ქვეყნის წარმომადგენლები გადალახავენ მათს გზაზე მდგომ სიძნელეებს.

საფრანგეთის მთავრობა დარწმუნებულია, ამბობს ბიდო, რომ თავისი პასუხისმგებლობის სრული შეგნებით პარიზის კონფერენცია წარმატებით შეასრულებს ძნელ დავალებას, რომელიც მას წილად ხვდა.

ბიდოს შესავალი სიტყვის შემდეგ კონფერენცია გადადის მთელი რიგი ორგანიზაციული საკითხების გადაწყვეტაზე. კონფერენციის დროებით თავმჯდომარედ — მანამდე, სანამ დამტკიცებული არ იქნება პროცედურის წესები—არჩეულია ბიდო, ხოლო დროებით გენერალურ მდივნად ფუკ-დიუპარკი (საფრანგეთი). შემდეგ კონფერენციამ გადასწყვიტა საპატიო სტუმრად მოიწვიოს პარიზში მყოფი გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალური მდივანი ბ-ნი ტრიუგვე ლი.

ბიდოს წინადადება შეიცავს შეიქმნას სამანდატო კომისია 7 სახელმწიფოს — ავსტრალიის, ბელორუსიის სს რესპუბლიკის, ბრაზილიის, ჩინეთის, ჰოლანდიის, ეთიოპიისა და ჩეხოსლოვაკიის წარმომადგენელთა შემადგენლობით. წინადადება მიღებულ იქნა.

შემდეგ ბიდომ წინადადება შეიტანა შეიქმნას კომისია პროცედურის საკითხებზე ყველა დელეგაციის წარმომადგენელთაგან. ამ კომისიამ უნდა განიხილოს პროცედურის წესები, რომლებიც საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭომ მოამზადა. ბიდომ აზრი გამოსთქვა, რომ პროცედურის საკითხების კომისიას შეუძლია კონფერენციის პლენარული სხდომების პარალელურად იმუშაოს.

ამის შემდეგ ორაზროვანი განცხადებით გამოვიდა ევატი (ავსტრალია). ეს უკანასკნელი იმეორებდა თავის ტრაფარეტულ მსჯელობას, კონფერენციაზე ყველანი თანასწორი უნდა იყვნენო, თუმცა კონფერენციის ყველა დელეგატთა თანასწორუფლებიანი მდგომარეობა ისედაც ცნობილია. ევატის გამოსვლის აზრს ხაზს უსვამდა მისი მისწრაფება ჩრდილი მიეყენებინა საგარეო საქმეთა მინისტრების საბჭოს გადაწყვეტილებებისათვის, რომელმაც ხანგრძლივი მუშაობის პროცესში მოამზადა როგორც საზავო ხელშეკრულებათა პროექტები, ისე კონფერენციის პროცედურის წესები.

ევატის გამოსვლამ დამსწრეებზე უხეში თამაშის შთაბეჭდილება მოახდინა, ვინაიდან ყველასათვის ცნობილია, რომ იგი ახლოს დგას ინგლის-ამერიკის ბლოკის მთავარ ქვეყნებთან, დამოკიდებულია მათგან და მზად არის გაატაროს ხან ერთი, ხან მეორე მთავარი დასავლეთი ქვეყნის დავალებანი. ევატის წინადადებას მხარი დაუჭირა ბირნსმა.

საქმე იმით განისაზღვრა, რომ კონფერენციამ აღიარა, რომ სხდომები პროცედურის საკითხებზე არ უნდა სწარმოებდეს პლენარული სხდომების ერთდროულად. გადაწყდა, რომ კომისია შეიკრიბება ხვალ დილის 10 საათზე და თვითონ განსაზღვრავს თავისი მუშაობის დღის წესრიგს. კონფერენციის პლენარული სხდომა შესდგება 16 საათზე. კონფერენციის უახლოესი პლენარული სხდომები საერთო დისკუსიას მიეძღვნება.

სსრ კავშირში ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია

29 ივლისს მოსკოვს ჩამოვიდა დიდი ბრიტანეთის ლეიბორისტული პარტიის აღმასრულებელი კომიტეტის დელეგაცია ბ-ნ ჰაროლდ ჯ. ლასკის (დელეგაციის თავმჯდომარე) და წევრების მორგან ფილიპსის, ჰაროლდ კლეისა და ქ-ნ ალისა ბეიკონის შემადგენლობით.

ცენტრალურ აეროდრომზე დელეგაციას შეხვდნენ მოსკოვის საბჭოს, სსრ კავშირის საგარეო საქმეთა სამინისტროს და პროფესიულ კავშირთა სრულიად საკავშირო ცენტრალური საბჭოს პასუხისმგებელი თანამშრომლები. (საკდესი).

ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რიგგარეშე სხდომა

პრაღა, 27 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის მთავრობის დელეგაციის მოსკოვიდან პრაღაში დაბრუნების შემდეგ 26 ივლისს შესდგა ჩეხოსლოვაკიის მთავრობის რიგგარეშე სხდომა. ამის თაობაზე 27 ივლისს გამოქვეყნებულ ოფიციალურ კომუნიკეში აღნიშნულია, რომ მთავრობამ მოისმინა პრემიერ-მინისტრ გოტვალდის, საგარეო საქმეთა მინისტრ მასარიკისა და სტატს-მდივან კლემენტისის ანგარიში ჩეხოსლოვაკიის დელეგაციის მიერ მოსკოვში წარმოებული მოლაპარაკების შედეგების შესახებ. მთავრობამ მოხსენება კმაყოფილებით მიიღო.

ფეხბურთის საერთაშორისო მატჩი მოსკოვში

„პარტიზანი“ (იუგოსლავია) — „ცდკა“ (მოსკოვი)

28 ივლისს ათეულ ათასობით მოსკოველმა ნახა ომის შემდეგ პირველი საერთაშორისო საფეხბურთო მატჩი საბჭოთა კავშირში.

„დინამოს“ სტადიონზე ერთმანეთს შეხვდნენ გუნდი „პარტიზანი“—იუგოსლავიის სახალხო-განმათავისუფლებელი არმიის წარმომადგენელი, და სსრ კავშირის პირველობის გათამაშების ლიდერი — წითელი არმიის ცენტრალური სახლის გუნდი.

მატჩი დამთავრდა ანგარიშით 1 : 0 „ცდკა“-ს სასარგებლოდ. (საკდესი).

სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაული

მოსკოვი

27 ივლისს მწვანე თეატრში შესდგა მშრომელთა დეპუტატების მოსკოვის საბჭოს და საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის საზეიმო სხდომა, მიძღვნილი სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი. დაესწრო 15 ათასამდე კაცი.

მწვანე თეატრის სცენა სადღესასწაულოდ არის მორთული. მის ცენტრშია საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ამხანაგ ი. ბ. სტალინის პორტრეტი.

მქუხარე, ხანგრძლივი ტაშით საპატიო პრეზიდიუმში ირჩევენ საკავშირო კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის პოლიტბიუროს ამხანაგ ი. ბ. სტალინის მეთაურობით.

პრეზიდიუმში არიან სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მინისტრის მოადგილე არმიის გენერალი ნ. ა. ბულგანინი, სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალთა მინისტრის მოადგილე და სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, მოსკოვის საბჭოს თავმჯდომარე ამხ. გ. მ. პოპოვი, საბჭოთა-კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, სსრ კავშირის არმიისა და ფლოტის ადმირალები და გენერლები. დამსწრეთა შორის არის კრეისერ „ვარიაგის“ ყოფილი პირველი თანრიგის მატროსი, 1905 წელს ჯავშნოსან „პოტიომკინზე“ მომხდარი რევოლუციური აჯანყების მონაწილე ა. დ. ვოიცეხოვსკი.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი მოხსენებით გამოვიდა ვიცე-ადმირალი პ. ს. აბანკინი.

— სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს, რომელიც საბჭოთა კავშირის ყველა მშრომელთა ტრადიციული და ძვირფასი დღესასწაული გახდა, — ამბობს ვიცე-ადმირალი აბანკინი, — წელს ჩვენ აღვნიშნავთ მშვიდობიან ვითარებაში. ომი ჰიტლერული გერმანიისა და იმპერიალისტური იაპონიის წინააღმდეგ მტრის სრული განადგურებითა და უსიტყვო კაპიტულაციით დამთავრდა. საბჭოთა კავშირის ხალხები, რომლებიც მშვიდობიან შემოქმედებითს შრომას შეუდგნენ, ღირსეულად ახორციელებენ ახალი სტალინური ხუთწლედის დიად სამუშაოთა გეგმას.

ისტორიაში უმაგალითო სიგრძის ფრონტზე—იმიერპოლარეთიდან დუნაის შესართავამდე—პირველი დარტყმებისა და შემდგომი ბრძოლების ძირითადი სიმძიმე დააწვა წითელ არმიას. სამხედრო-საზღვაო ფლოტი, როგორც ამხანაგმა სტალინმა განსაზღვრა, წითელი არმიის ერთგული თანაშემწე იყო.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის მოქმედება სამამულო ომში აღნიშნულია შეუპოვრობით, გამბედაობით მაღალი საბრძოლო აქტივობითა და ოსტატობით. ომის პირველი დღეებიდანვე სამხედრო-საზღვაო ფლოტი წარმატებით ეხმარებოდა წითელ არმიას. ომის ყველა საზღვაო და სამდინარო ასპარეზზე ფლოტები და ფლოტილიები საიმედოდ იფარავდნენ ჩვენი არმიების ფლანგებს. საომარი მოქმედების არცერთ ჩვენს ასპარეზზე, მოწინააღმდეგის შემოტევის პერიოდშიც კი, ჩვენი ფრონტების ფლანგებსა და ნაპირებს ზღვიდან თავდასხმა არ განუცდიათ. მთელი ომის მანძილზე მოწინააღმდეგემ ერთი დესანტის გადმოსხმაც ვერ მოახერხა ჩვენს ნაპირებზე. ამავე დროს ჩვენმა ფლოტებმა და ფლოტილიებმა ასზე მეტი დიდი და მცირე დესანტი გადასხეს მოწინააღმდეგის ფლანგზე და ზურგში. შემდეგ ვიცე-ადმირალი აბანკინი ლაპარაკობს ბალტიის წითელდროშოვანი, ჩრდილოეთის, შავი ზღვის ფლოტებისა და მრავალი ფლოტილიის მოქმედებაზე.

საბჭოთა ფლოტებისა და ფლოტილიების საომარი მოქმედება სწარმოებდა არა მარტო ზღვებსა და მდინარეებზე. სამხედრო-საზღვაო ძალების პირადი შემადგენლობა, ბატალიონებად, პოლკებად და ბრიგადებად ჩამოყალიბებული, მამაცურად და გულადად იბრძოდა ხმელეთის ფრონტებზე საბჭოთა არმიის ნაწილების შემადგენლობაში. პარტიამ და მთავრობამ მაღალი შეფასება მისცეს მეზღვაურთა დამსახურებას. სამხედრო-საზღვაო ძალების 507 მეომარს მიენიჭა საბჭოთა კავშირის გმირის წოდება, მათგან 8 ორგზის საბჭოთა კავშირის გმირია. 212 ხომალდი, ნაწილი და შენაერთი და 134 ათასი მატროსი, ზემდეგი, ოფიცერი და ადმირალი დაჯილდოებულია საბჭოთა კავშირის ორდენებით.

დასასრულ ამხ. აბანკინი დღეგრძელობას უსურვებს დიდ ბელადსა და მხედართმთავარს, გამარჯვების შემოქმედს ამხანაგ სტალინს.

შეკრებილნი მქუხარე ოვაციას მართავენ ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

საზეიმო კრების მონაწილეებმა მქუხარე ოვაციით მიიღეს მისალმება საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ ი. ბ. სტალინისადმი.

საზეიმო სხდომის დამთავრების შემდეგ მწვანე თეატრში გაიმართა დიდი კონცერტი დედაქალაქის საუკეთესო არტისტული ძალების მონაწილეობით.

მასობრივი სახალხო სეირნობა პარკში გვიან ღამემდე გაგრძელდა. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად ალმებით, ტრანსპარანტებით და ლოზუნგებით მორთული ხეივნები და სანაპირო ხალხით იყო სავსე. დაღამებისთანავე პარკი და მდინარე მოსკოვის სანაპირო პროჟექტორების კაშკაშა შუქმა გაანათა. საღამო გრანდიოზული ფოიერვერკით დამთავრდა. (საქდესი).

* * *

28 ივლისს მოსკოვმა, ისე როგორც მთელმა საბჭოთა ქვეყანამ, ზეიმით აღნიშნა სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. კულტურისა და დასვენების პარკის მწვანე თეატრში ჯერ კიდევ წინა დღეს დაწყებული დღესასწაული, კვირას გრძელდებოდა ხიმკის წყალსაცავზე.

საბჭოთა სამხედრო მეზღვაურებმა, რომლებმაც ღირსეულად შეასრულეს თავიანთი ვალი სამშობლოს წინაშე დიდ სამამულო ომში, სამართლიანად დაიმსახურეს სახალხო სიყვარული და პატივისცემა. მილიონობით საბჭოთა ადამიანი, რომლებიც კითხულობდნენ ან რადიოთი უსმენდნენ ცნობებს საომარი მოქმედების მიმდინარეობის შესახებ, სიამაყით გებულობდნენ ჩვენი მატროსების, ოფიცრების, გენერლებისა და ადმირალების ახალ საბრძოლო საგმირო საქმეებს. დღესასწაულის დღეს, როცა დედაქალაქის ქუჩებში სამხედრო მეზღვაურები მოდიოდნენ, მოსკოველები მხურვალედ მიესალმებოდნენ მათ, წარსული ბრძოლების გმირებს.

ქვეითი ჯარებთან და ავიაციასთან მჭიდრო თანამეგობრობით საბჭოთა ფლოტი საიმედოდ იცავდა ჩვენი არმიების ფლანგებს, მძლავრად ურტყამდა მტრის ხომალდებს, მტრის არმიებსა და სამხედრო-სამრეწველო ცენტრებს. ბალტიელმა მფრინავებმა პირველებმა გაკაფეს გზა მტრის ბუნაგისაკენ—ბერლინისაკენ, და მძლავრად ბომბავდნენ მის სამხედრო-სამრეწველო ცენტრებს. საბჭოთა მატროსები გმირულად იბრძოდნენ ჩრდილოეთში, ანადგურებდნენ მტერს ლენინგრადთან, სევასტოპოლთან და სტალინგრადთან, მონაწილეობდნენ გაბედულ სადესანტო ოპერაციებში შავ ზღვაზე, წყნარ ოკეანეზე.

დედაქალაქში ბევრი მეზღვაური ჩამოვიდა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის დღესასწაულზე. მათ შორის არიან — ბალტიელები, შავზღვლელები, ჩრდილოეთის ზღვიდან, წყნაროკეანელები, მეომრები კასპიიდან, დნეპრიდან და დუნაიდან. ყველა მათ ომის მძიმე და სახელოვანი გზა განვლეს, ყველა ისინი არიან ჩვენი სამშობლოს ერთგული და თავდადებული გმირები, აღზრდილნი დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის მიერ.

დედაქალაქი სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღეს აღნიშნავდა როგორც ნამდვილად საყოველთაო დღესასწაულს, ვინაიდან ჩვენი ფლოტის ისტორია განუყრელად არის დაკავშირებული ჩვენი ქვეყნის მთელ ისტორიასთან, მის დიად გამარჯვებათა ისტორიასთან, რამაც ჩვენს იარაღს სახელი გაუთქვა საუკუნეებში.

საბჭოთა ხალხს უყვარს მეზღვაურები, განუწყვეტლივ ზრუნავს სამხედრო-საზღვაო ფლოტის განმტკიცებისა და განვითარებისათვის, რომელიც ჩვენი ქვეყნის მთელ შეიარაღებულ ძალებთან ერთად მოწოდებულია დაიცვას სოციალისტური სახელმწიფოს დამოუკიდებლობა, იდგეს მისი სახელმწიფოებრივი ინტერესების საგუშაგოზე.

28 ივლისს ყველა საბჭოთა ადამიანი, როცა ისმენდა სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის ბრძანებას, ერთსულოვნად უსურვებდა დღეგრძელობას ჩვენს სახელოვან ფლოტს, მის მატროსებს, სერჟანტებსა და ზემდეგებს, მის ოფიცრებს, გენერლებსა და ადმირალებს.

...ამ მზიან დღეს „დინამოს“ წყალსაჯომარდო სადგურის ტრიბუნები დილიდანვე სავსე იყო. სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღესასწაულზე 20 ათასამდე კაცი შეიკრიბა. ათასობით მოსკოველია ხიმკის წყალსაცავის მეორე ნაპირზე. სტუმრებს შორის არიან წითელდროშოვანი ბალტიის, ჩრდილოეთის, შავი ზღვის და წყნარი ოკეანის ფლოტების, დნეპრის, კასპიის და საბჭოთა კავშირის სხვა ფლოტილიების სამხედრო მეზღვაურები.

ტრიბუნებზე არიან სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე და სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდალი, ფლოტის ადმირალი ნ. გ. კუზნეცოვი, სსრ კავშირის შეიარაღებული ძალების მინისტრის მოადგილე და სამხედრო-საჰაერო ძალების მთავარსარდალი, ავიაციის მარშალი ვერშინინი, საბჭოთა კავშირის მარშალი ს. მ. ბუდიონი, არტილერიის მთავარი მარშალი ნ. ნ. ვორონოვი, ფლოტის ადმირალი ი. ს. ისაკოვი, ადმირალი ლ. მ. გალერი, ვიცე-ადმირალი ნ. მ. კულაკოვი, არმიის გენერალი ანტონოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის საქალაქო კომიტეტის მდივნები გ. ნ. პავლიუკოვი, ნ. ნ. დანილოვი, საკავშირო კ. პ. (ბ) მოსკოვის კომიტეტის მდივანი ბ. ნ. ჩერნოუსოვი, სსრ კავშირის არმიისა და ფლოტის ადმირალები და გენერლები. დღესასწაულზე ჩამოვიდა მრავალი საბჭოთა კავშირის გმირი, უხუცესი რუსი მეზღვაურები, მათ შორის რუსეთის ფლოტის ყოფილი ვიცე-ადმირალი, 1904 წელს პორტ არტურის დაცვისა და 1914-1918 წ. წ. რიგის ყურეში გერმანელთა განადგურების მონაწილე ა. ს. მაქსიმოვი, კრეისერ „ვარიაგის“ პირველი სტატიის მატროსი ა. დ. ვოიცეხოვსკი.

სამხედრო-საზღვაო ძალების მთავარსარდლის, ფლოტის ადმირალ ნ. გ. კუზნეცოვის ლოჟაში იმყოფება მისი პირადი სტუმარი ინგლისელი ადმირალი ლორდი ფრეზერი.

ზუსტად შუადღისას საწყლოსასპორტო დღესასწაულის მონაწილენი ჩამწკრივდნენ ტრიბუნების წინ. ტრიბუნებიდან 100 მეტრის მანძილზე კილვატერულ კოლონად ჩამწკრივდნენ ჯავშანკატერები, სატორპედო კატერები, სასწავლო გემები. პარადს სარდლობდა კონტრ-ადმირალი კუდრიავცევი, პარადი მიიღო ვიცე-ადმირალმა ისაჩენკოვმა. იგი მიესალმა სპორტსმენებს, ჩამოუარა მათ რიგებს და შემდეგ სიტყვით მიმართა დამსწრეებს:

— ჩვენი დიდი ხალხი,—ამბობს ვიცე-ადმირალი ისაჩენკოვი, — შეუდგა მშვიდობიან სოციალისტურ მშენებლობას, განუწყვეტლივ ზრუნავს თავისი სამშობლოს თავდაცვისუნარიანობის შემდგომი განმტკიცებისათვის, წითელი არმიის, სამხედრო-საზღვაო ფლოტისა და ავიაციის განმტკიცებისათვის. დღეს საბჭოთა კავშირის მშრომელთა მთელი ყურადღება და ძალღონე მიმართულია სამშობლოს საზღვაო საზღვრების განმტკიცებისაკენ. მძლავრ საბჭოთა სახელმწიფოს უნდა ჰქონდეს მისი ინტერესების შესაბამისი, ჩვენი დიადი საქმის შესაფერი სამხედრო-საზღვაო ფლოტი. წელს ჩვენ შეგვიძლია ვუთხრათ ჩვენს ხალხს, რომ საბჭოთა კავშირს ექნება დიადი სტალინური ეპოქის შესაფერი მძლავრი სამხედრო-საზღვაო ფლოტი.

ვიცე-ადმირალი ისაჩენკოვი დღეგრძელობას უსურვებს დიდ ბელადსა და მხედართმთავარს, საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ფლოტის ორგანიზატორს, საბჭოთა კავშირის გენერალისიმუს ამხანაგ ი. ბ. სტალინს. პასუხად გუგუნებს მრავალხმიანი მატროსული ვაშა, გაისმის შეძახილები: „დიდ სტალინს დიდება!“, „დიდება სამხედრო მეზღვაურებს — სამშობლოს ერთგულ დამცველებს!“.

ათიათასობით დამსწრე მქუხარე ოვაციას მართავს ამხანაგ სტალინის პატივსაცემად. საზეიმოდ გუგუნებს საბჭოთა კავშირის ჰიმნი. წყალსაჯომარდო სადგურზე აფრიალდა ვეებერთელა ტილო—სსრ კავშირის სამხედრო-საზღვაო ფლოტის ალამი.

დღესასწაულის დაწყებას გვამცნობს საარტილერიო სალუტი.

იწყება ფლოტის საუკეთესო სპორტსმენთა მასობრივი ცურვა 400 მეტრზე. მეორე ნაპირიდან მცირე ჯგუფებად წყალში გადახტა 1200 მცურავი. მათ ხელში უჭირავთ მწვანე, იისფერი, ცისფერი, ყვითელი, წითელი ასაფრენი ბუშტები... გადის წუთები. მცურავები მწყობრად უახლოვდებიან ტრიბუნებს. მათ ცენტრში ტივტივებზე მოცურავს მწვანითა და დროშებით მორთული ამხანაგ სტალინის პორტრეტი. ტრიბუნებიდან 100 მეტრის დაშორებით ბუშტები ჰაერში აფრინდნენ. იალქნიანი ნავიდან გაისმის შეძახილები:

— დიდ სტალინს დიდება!

ათასობით ადამიანი იმეორებს ამ მისალმებას. მძლავრი მატროსული ვაშა ერთდება მქუხარე ტაშს, რომელიც გაისმის ტრიბუნებიდან, პლაჟიდან, წყალსაცავის მეორე ნაპირიდან.

გამოდიან ფლოტის უძლიერესი მცურავები, მათ შორის არიან სპორტის დამსახურებული ოსტატები, რეკორდსმენები და ჩემპიონები. ისინი გვიჩვენებენ მრავალნაირი სტილის ცურვის ხერხებს. ერთ-ერთმა პირველთაგანმა მამაკაცთა შორის 100 მეტრის დისტანცია „ბრასის“ სტილით გაიარა შავი ზღვის ფლოტის აღზრდილმა, მსოფლიო რეკორდსმენმა სიმონ ბოიჩენკომ. იგივე დისტანცია თავისუფალი სტილით პირველმა გაიარა წითელი არმიის უცხო ენათა ინსტიტუტის სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტის მსმენელმა, ტექნიკოს-ლეიტენანტმა არტემ ლიბელმა. ეს დისტანცია ადვილად მოიგო სსრ კავშირის რეკორდსმენმა იულია კოჩეტკოვამ.

ათასობით ადამიანი დაძაბული ყურადღებით ადევნებდა თვალყურს ფლოტის საუკეთესო სპორტსმენთა შეჯიბრებას. საყოველთაო ინტერესი გამოიწვია რთულმა ხტომამ წყალში ათმეტრიან კოშკიდან. სპორტის დამსახურებულმა ოსტატმა გაიკოვიჩმა გააკეთა ერთ-ერთი უძნელესი ნახტომი წყალში — წელში მოხრილმა 2 ½ ნახევარბრუნით. შემდეგ მან ეს ნახტომი გაიმეორა 1 ½ ბრუნით ნახევარხრახნით. ჩინებულად შეასრულა რთული ნახტომი წყალში საბჭოთა კავშირის ჩემპიონმა ჟიგალოვმა. მაგრამ ქულების რაოდენობით კოშკიდან და ტრამპლინიდან ხტომა მაინც გაიკოვიჩმა მოიგო.

იმ მომენტში, როცა მიმდინარეობდა საჩვენებელი შეჯიბრება ცურვასა და ხტომაში და მთავრდებოდა ნახევარ-ფინალური შეხვედრა ბაგირის გადაწევაში, სატორპედო კატერებმა დაიწყეს წყალქვეშა ნავის სასწავლო იერიშის ჩვენება...

...„მტრის“ ნავის პერისკოპი წყლის ზედაპირზე სრულიად მოულოდნელად გამოჩნდა. სატორპედო კატერებმა დაუყოვნებლივ მიიტანეს იერიში „მოწინააღმდეგეზე“. აღიმართა წყლის ვეებერთელა სვეტები: სატორპედო კატერებმა სიღრმის ბომბები დაუშინეს წყალქვეშა ნავების მდებარეობის რაიონს.

დადგა მომენტი, როცა დამსწრეებმა თვალი მიაპყრეს ხიმკის წყალსაცავის მეორე ნაპირს. იქ აგებული იყო ხანგრძლივი საცეცხლე წერტები, ძელმიწურები და სრული პროფილის სანგრები. „მოწინააღმდეგის“ ეს გამაგრებული ნაპირი უნდა აეღოთ ჩვენს სადესანტო ჯარებს.

...მზე ჯერ კიდევ მაღლა იდგა. ტრიბუნების მარჯვნივ გამოჩნდნენ სადესანტო ხომალდები ჯავშანკატერებისა და სატორპედო კატერების თანხლებით. „მოწინააღმდეგემ“ შენიშნა ჩვენი ჯარების მიახლოვება და ტყვიამფრქვევების, ქვემეხებისა და ნაღმსატყორცნების გრიგალისებური ცეცხლი დაუშინა. სადესანტო გემებმა კონცენტრირებული ცეცხლით უპასუხეს. საშინელმა გრიალმა შეარყია ჰაერი. ყველგან, მიწაზე, წყალზე და ჰაერში სკდებოდა ყუმბარები. „მოწინააღმდეგე“ ყოველგვარი საცეცხლე საშუალებით ებრძოდა სადესანტო გემების მიახლოებას. მსუბუქმა სადესანტო ხომალდებმა, რომლებსაც მეთაურობდა პირველი რანგის კაპიტანი ბუტაკოვი, მაინც მოახერხეს ნაპირთან მისვლა და პირველი პლაცდარმი დაიკავეს. ამ დესანტის ინსცენირებაში მონაწილეობდნენ ნიკოლაევის წითელდროშოვანი საზღვაო ქვეითი ჯარის კურსანტები. მოიერიშე ჯგუფის შემადგენლობაში შედიოდნენ შავი ზღვის ფლოტის სადესანტო რაზმის მებრძოლები საბჭოთა კავშირის გმირის ზემდეგ ნ. მ. შჩერბაკოვის მეთაურობით. მძიმე და შეუპოვარი ბრძოლის შემდეგ „მოწინააღმდეგის“ გამაგრებული ზოლი გარღვეულ იქნა.

საბრძოლო თამაში დამთავრდა გიგანტური ფეიერვერკით: ასობით შუშხუნა ყურძნის მტევნებივით გაიფანტა ხიმკის წყალსაცავზე. ამ წუთებში ყველას გაახსენდა ომის მრისხანე დღეები. საბჭოთა სამხედრო-საზღვაო ძალები თავიანთ დესანტებს გადასხამდნენ ხოლმე იქ, სადაც სტალინი უბრძანებდა, და მტერს არ შეეძლო წინააღმდეგობა გაეწია საბჭოთა მეზღვაურების ძალისა და სამხედრო ოსტატობისათვის! ომის წლებში ჰიტლერელებმა ვერ შესძლეს ვერცერთი დესანტის გადმოსხმა ჩვენი სამშობლოს ნაპირებზე, ჩვენმა სამხედრო-საჰაერო ძალებმა კი მტრის ნაპირებზე გადასხეს 100-ზე მეტი დიდი და პატარა დესანტი!

იმ მომენტში, როცა თავდებოდა საჩვენებელი შეჯიბრება ცურვაში, ხიმკის წყალსაცავზე გაიმართა თითქმის ნამდვილი ბრძოლა. სატორპედო კატერების ჯგუფი უჩვენებდა ლუზაზე მდგომი გემების სასწავლო იერიშს. სატორპედო კატერები, რომლებმაც იერიში მიიტანეს ბუხტზე, ტრიბუნებთან სრულიად მოულოდნელად გამოჩნდნენ და ასევე მოულოდნელად მიიმალნენ. ისინი აქ მოვიდნენ კვამლის საფარით და ამ საფარის უკან დამალულნი წავიდნენ. რეიდზე მდგომ გემების „იერიშს“ წარმატება არ ჰქონია. ჯავშანკატერებმა დროზე შენიშნეს „მტერი“ და გაბედული კონტრიერიშით გააქციეს.

ნაპირზე ამ დროს მიმდინარეობდა საბჭოთა მეზღვაურების საყვარელი შეჯიბრება — ბაგირის გადაწევა. ფლოტებისა და ფლოტილიების ნაკრები გუნდები პირველობისათვის იბრძოდნენ. საფინალო შეხვედრაში ბაგირის გადაწევაში პირველ ადგილზე გამოვიდა შავი ზღვის ფლოტის გუნდი. მან მიენიჭა პირველი თასი. შავი ზღვის ფლოტის მეზღვაურებმა აგრეთვე მოიგეს პირველი პრიზი ნიჩბიანი ნავების მარულაში 30-20 და 10 კაბელტოვზე. დღესასწაულზე ამ მარულაში ერთმანეთს ეჯიბრებოდა საბჭოთა კავშირის ფლოტებისა და ფლოტილიების ნავებით დიდი ვარსკვლავისებური გადასვლის ყველა მონაწილე.

მაყურებელთა მხიარული გამოცოცხლება გამოიწვია სახუმარო ხტომამ 10 მეტრიანი კოშკიდან. დიდი ინტერესით ადევნებდნენ თვალყურს დამსწრენი ცურვას დაბრკოლებებით. ესტაფეტში 10×50 პირველი ადგილი დაიკავა წითელი არმიის უცხო ენათა ინსტიტუტის სამხედრო-საზღვაო ფაკულტეტის გუნდმა.

საყოველთაო აღფრთოვანება გამოიწვია სკუტერებით ცურვამ და აკვაპლანისტების ბუქსირებამ. წყალსაცავი აქაოდა მსუბუქი მოტორიანი ნავების სწრაფი სრბოლით, რომლებსაც ოსტატურად მართავდნენ მეზღვაურები. დღესასწაული დამთავრდა ამხანაგური მატჩით წყალბურთში სამხედრო-საზღვაო ძალების ნაკრებ გუნდებს შორის.

როცა დაიგრიალა უკანასკნელმა საარტილერიო გასროლამ, ხიმკის წყალსაცავზე კვლავ აინთო ასობით ფერად-ფერადი შუშხუნა. წყლის ზედაპირი აივსო შვერბოტებითა და იალქნიანი იახტებით. დაიწყო წყლის სასპორტო დღესასწაულის მონაწილეთა მასობრივი სეირნობა...

* * *

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე დედაქალაქში ჩატარდა როგორც საყოველთაო-სახალხო დღესასწაული და ერთხელ კიდევ ცხადჰყო ჩვენი სახელოვანი სამხედრო მეზღვაურების საბრძოლო ძლიერება და წრთობა, რომლებიც სსრ კავშირის შეიარაღებულ ძალებთან ერთად დგანან საბჭოთა ხალხის მშვიდობიანი შრომის საგუშაგოზე. (საქდესი).

სევასტოპოლი

სევასტოპოლი, 28 ივლისი. (საქდესი). საათმა რვა დარეკა. ლურჯი ბუხტები მზის სხივებზე ელვარებენ. საბრძოლო ხომალდებზე ეკიპაჟები ჩამწკრივებულან. ზეიმით აღიმართა სამხედრო-საზღვაო ალმები. სამხედრო მეზღვაურნი სულგანაბულნი ისმენენ საბჭოთა კავშირის გენერალისიმუსის ამხანაგ სტალინის ბრძანებას.

რუსეთის დიდების ქალაქის ქუჩები ათასობით სევასტოპოლელით აივსო. ლამაზი და დიდებულია დღეს ლეგენდარული გმირი ქალაქი. აღდგენილი სახლები, ბულვარები და პარკები მორთულია ფერადფერადი ალმებით, ლოზუნგებით, ტრანსპარანტებით. მათ ზემოთ აღმართულია დიდი სტალინის, პარტიისა და მთავრობის ხელმძღვანელთა პორტრეტები.

ცხრა საათია. ისტორიულ გრაფის ნავმისადგომზე ესკადრის სარდალი ვიცე-ადმირალი გორშკოვი პატაკს აძლევს ფლოტის სარდალს ადმირალ ოქტიაბრსკის.

პარადი დამთავრებულია. დაიწყო გრანდიოზული დღესასწაული წყალზე. წყალსაჯომარდო სადგურის ტრიბუნები გაჭედილია.

შუადღეა. წყალსაჯომარდო სადგურზე დადგმულ მიკროფონთან მივიდა შავი ზღვის ფლოტის სარდალი ადმირალი ოქტიაბრსკი. მან წარმოსთქვა მოკლე სიტყვა, რომლის დასრულებისას ჯანმრთელობა უსურვა დიდ ბელადსა და მხედართმთავარს ამხანაგ სტალინს. პასუხად გაისმა მქუხარე „ვაშა“. ზედიზედ გაისმის ოცი საარტილერიო ზალპი ხომალდებიდან და სანაპირო ბატარეებიდან, რომლებიც სალუტს აძლევენ სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღის აღსანიშნავად.

აღიმართა ალამი, რომელიც ამცნობს შავი ზღვის ფლოტის მე-17 სპარტაკიადის გახსნას.

მაყურებელთა წინაშე გაცოცხლდა ცოტახნის წინანდელი საბრძოლო დღეების ვითარება. დესანტის დღევანდელ დემონსტრაციაში მონაწილეობენ სწორედ ისინი, ვინც არაერთხელ მონაწილეობდა საბრძოლო დესანტებში. ანადგურებდა გერმანელ დამპყრობლებს.

კვლავ გამოცოცხლდა წყალსაჯომარდო სადგური. დაიწყო ნავების შეჯიბრება სისწრაფეში 12 კაბელტოვ დისტანციაზე.

დღესასწაული დამთავრდა მასობრივი სეირნობით კულტურისა და დასვენების პარკში, ზღვისპირა ბულვარზე, ლენინის მოედანზე. გვიან ღამემდე მხიარულობდა ალორძინების გზაზე მყოფი სევასტოპოლი!

კრონშტადტი

კრონშტადტი, 28 ივლისი. (საქდესი). მცხუნვარე მზე უხვად აფრქვევს სხივებს ციხე-ქალაქის მოედნებსა და ქუჩებს. ბრჭყვიალებს ფინეთის ყურის სარკესავით ზედაპირი. სადღესასწაულო შეხედულება აქვს დღეს რუსეთის ძველ სამხედრო-საზღვაო ბაზას. ყველა ხომალდი — სახაზო გემიდან ბოლის ფარდის მომწყობ პაწაწკინტელა „კამკამდე“ — მორთულია ფერადფერადი ალმების ჰირლანდებით. ეს საბრძოლო გემებია, რომლებსაც კარგად იცნობენ ლენინგრადელები. ბლოკადის წლებში ბევრი მათგანი ნევაზე იდგა და თავისი ქვემეხების ცეცხლით იცავდა ქალაქს.

სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი დღესასწაული დაიწყო ხომალდებზე ალმის საზეიმო ამართვით. დილიდანვე ზედიზედ მიდიან საბრძოლო ხომალდებთან კატერები. მეზღვაურები გულთბილად ხვდებიან თავიანთ შეფებს — ლენინგრადის მშრომელებს.

დილის 10 საათზე დიდ რეიდზე დაიწყო 16 ნავის შეჯიბრება სისწრაფეში. გამარჯვებული გამოვიდა მიჩმან გლუშკოს ნავი. ამავე დროს ლუზის მოედანზე, იქ, სადაც ადმირალ მაკაროვის ძეგლი დგას, გაიმართა ფლოტის ფიზკულტურელთა გამოსვლები. 400 იუნგამ ლამაზად შეასრულა თავისუფალი მოძრაობა პატარპატარა ალმებით. შემდეგ ხომალდებისა და ნაწილების ფიზკულტურელები ერთმანეთს ეჯიბრებოდნენ ესტაფეტიან რბენაში, ფრენბურთსა და სხვა თამაშში.

დღესასწაულში მონაწილეობა მიიღეს ინგლისელმა მეზღვაურებმა ავიოსან „ტრაიუმფიდან“, რომელიც დიდ რეიდზე დგას, სახაზო გემ „ოქტიაბრსკაია რევოლუციის“ ახლოს, და აგრეთვე ფერადფერადი ალმებით მორთო. სტუმრები ინტერესით ადევნებდნენ თვალს ნავების შეჯიბრებასა და ფიზკულტურულ თამაშს.

დიდი ინტერესი გამოიწვია სახაზო გემ „ოქტიაბრსკაია რევოლუციის“ გუნდის ფეხბურთის მატჩმა ავიოსნის გუნდთან. მატჩი დამთავრდა ანგარიშით 5 : 9 საბჭოთა სახაზო გემის გუნდის სასარგებლოდ.

საღამოს დასასვენებელ ბაღში გაიმართა მეზღვაურთა, სტუმართა და კრონშტადტის მშრომელთა დიდი სეირნობა. 20.00 საათზე ზღვასა და ქალაქზე დაიგრიალა სალუტმა—20 საარტილერიო ზალპმა.

ოდესა

ოდესა, 28 ივლისი. (საქდესი). გმირმა ქალაქმა დღეს ადრე გაიღვიძა. დაუსრულებელ ნაკადებად მიემართებოდა ხალხი ტრადიციულ საბჭოთა დღესასწაულზე ზღვის ნაპირას, სადაც რეიდზე ჩამწკრივებულან ფერადფერადი ალმებით მორთული შავიზღვის საბრძოლო ხომალდები.

დილის სრულ 10 საათზე იწყება საზღვაო პარადი. კონტრ-ადმირალმა ნოვიკოვმა მიიღო პარადის სარდლის 1-ლი რანგის კაპიტან ჟუკოვსკის პატაკი და ჩამოუარა საბრძოლო ხომალდების საკილვატერო წყობას. კონტრ-ადმირალმა მიულოცა მატროსებსა და ოფიცრებს სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღე. პასუხად საესკადრო ნაღმოსნებიდან, საკანონერო ნავებიდან, სასწავლო გემებიდან, წყალქვეშა ნავებიდან, ტორპედიანი კატერებიდან, ტრალერებიდან და მონადირე კატერებიდან გაისმა მძლავრი წითელფლოტური „ვაშა“ საბჭოთა სამშობლოს, მისი ფლოტის უფროსების პატივსაცემად, დიდი ბელადისა და მხედართმთავრის ამხანაგ სტალინის პატივსაცემად.

დიდი ინტერესი გამოიწვია მცურავთა, კალათბურთელთა, ფეხბურთელთა, ტანმოვარჯიშეთა შეჯიბრებამ. სამხედრო მეზღვაურებმა ცხადჰყვეს თავიანთი ლონე და სიმარჯვე, სპორტული ოსტატობის მაღალი კლასი.

მაყურებელთა განსაკუთრებული აღტაცება გამოიწვია ნავების შეჯიბრებამ სისწრაფეში.

შევჩენკოს სახელობის კულტურისა და დასვენების პარკში მრავალი მაყურებელი მიიზიდა გამოფენამ, რომელიც ასახავს რუსეთის ფლოტის საბრძოლო გზას, მის საგმირო საქმეებს დიდი სამამულო ომის დღეებში, ოდესისა და სევასტოპოლის დაცვის დღეებში.

ზღვის ნაპირზე და პარკის ხეივნებში მთელ დღეს გუგუნებდნენ ორკესტრები. საღამოს გაიმართა მასობრივი სეირნობა ქალაქში და ზღვაზე.

ტალინი

ტალინი, 28 ივლისი. (საქდესი). დიდებულ სანახაობას წარმოადგენდა დღეს ტალინის რეიდი, სადაც ჩამწკრივებულიყვნენ საზეიმოდ მორთული ხომალდები. ფლოტის სარდალი ადმირალი ტრიბუცი კატერით ერთ საათზე მეტ ხანს ათვალიერებდა ხომალდების რიგებს, მიესალმებოდა საზღვაო მონადირეთა, ტრალერთა, ჯავშნიან კატერთა, წყალქვეშა ნავთა და საესკადრო ნაღმოსანთა ბაქნებზე ჩამწკრივებულ მეზღვაურებს. გვარდიული ლენტებით მორთულია საფლაგმანო ხომალდები, რომლებმაც განვლეს სახელოვანი გზა ლენინგრადიდან ბორნჰოლმამდე, სადივიზიონო კატერები — ტრალერები, რომლებიც ფლოტის დღესასწაულს შეხვდნენ ახალი წარმატებებით ტრალირებაში, ლეგენდარული ნაღმგადამლობი „მარტი“, რომელმაც ბალტიკაში პირველმა მიიღო გვარდიულის წოდება. პარადის მონაწილეთა შორისაა რუსეთის ფლოტის ვეტერანი, საკანონერო ნავი „კრასნოე ზნამია“, რომელიც „ხრაბრის“ სახელწოდებით მიუღიათ მსოფლიოს ათობით ნავსადგურში.

ფლოტის სარდალმა ხომალდების ჩამოვლა დაამთავრა, კრეისერზე ავიდა და მეზღვაურებს მიმართა სიტყვით, რომელიც რადიოთი ტრანსლირებული იყო მთელ რეიდზე.

ზღვაზე თეთრი იალქნები აკიაფდა. 30-ზე მეტი ნავი, რომლებმაც შეასრულეს ვარსკვლავისებრი გადასვლა შორეული ბაზებიდან ტალინში, მონაწილეობდა სისწრაფეზე შეჯიბრებაში. ძლიერმა ღელვამ ხელი ვერ შეუშალა მასობრივ გაცურვას ერთ კილომეტრზე. ფლოტის 80 საუკეთესო მცურავმა ცხადჰყო საბჭოთა მეზღვაურების საუკეთესო თვისებანი — ოსტატობა და ამტანობა.

ესტონეთის დედაქალაქის ათასობით მშრომელი შეიკრიბა პლაჟზე. საბჭოთა კავშირის გმირ პახოლჩუკის ტრალერებმა აჩვენეს ნაღმების ჩადგმა და ტრალირება. შემდეგ ჰაერში გამოჩნდნენ თვითმფრინავები და ჰორიზონტზე კატერები საზღვაო დესანტით. 40 წუთის განმავლობაში ქვემეხთა გრიალი გაისმოდა. ზღვიდან და ჰაერიდან მოწყობილი ბოლის საფარით, მონიტორებისა და კატერების საარტილერიო ცეცხლის დახმარებით ნაპირზე გადასხდა საზღვაო ქვეითი ჯარის ბატალიონი ოფიცერ სიროტინსკის მეთაურობით. საჩვენებელი დესანტის გადასხდომის მაყურებლებმა დაინახეს არმიისა და ფლოტის საბრძოლო თანამოქმედება.

საღამოს კადრიორგის სტადიონზე გაიმართა სამხედრო-საზღვაო ფლოტის დღისადმი მიძღვნილი დიდი მიტინგი. მიტინგი დამთავრდა ფლოტის მე-16 სპარტაკიადის მონაწილეთა პარადით. ფლოტის ფიზკულტურელებმა პარადის შემდეგ შეასრულეს სხვადასხვა გიმნასტიკური ვარჯიში.

საბჭოთა ხალხის გმირული შრომისა და ბრძოლის ბრწყინვალე ეპოპეა

თბილისის კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმი „ფიცი“

გუშინ ჩვენს კინოთეატრებში დაიწყო თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმის „ფიცის“ დემონსტრაცია.

ფილმმა, რომელიც ასახავს დიდი სტალინის მიერ ლენინის კუბოსთან დადებული ფიცის განხორციელებისათვის ბრძოლას, თბილისის მშრომელთა უდიდესი ინტერესი გამოიწვია. საბჭოთა ადამიანები კანონიერი სიამაყის გრძნობით უყურებენ თავიანთი შრომისა და ბრძოლის ნათელ სურათს, იმას, თუ როგორ იზრდებოდა და ძლევამოსილი ხდებოდა საბჭოთა ქვეყანა დიდი სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობით.

მაყურებლები გამოსთქვამენ თავიანთ გულწრფელ მადლობას ფილმის შემქმნელთა მიმართ. ვაქვეყნებთ ზოგიერთი მათგანის აზრს ახალი ფილმის შესახებ.

ალმაფრთოვანებელი სურათი

დაძაბული ყურადღებით უცქერი ამ შესანიშნავ ფილმს და გული გწყდება, როდესაც მთავრდება. მე, ძველ მუშას, რამდენი რა მომაგონა ამ სურათმა! ფილმის შემქმნელს სწორად გამოუხატავს ჩვენი ხალხის გულისნადები, მისი უანგარო სიყვარული და ერთგულება მშობლიური სტალინისადმი.

თითქმის ნახევარი საუკუნის წინად რკინიგზის მთავარი სახელოსნოების მუშები ახალგაზრდა სტალინის ხელმძღვანელობით ვეზიარეთ რევოლუციურ სოციალ-დემოკრატიულ იდეებს. მისი ხელმძღვანელობით განხორციელდა ჩვენში მუშათა მოძრაობისა და სოციალიზმის შერთვის ლენინურ-სტალინური იდეა.

ჯერ კიდევ მაშინ, როცა იქმნებოდა ახალი ტიპის პარტია, ამიერკავკასიაში სტალინი იყო ლენინის იდეების მტკიცე გამტარებელი. მან მაშინ უწოდა ლენინს უშიშარი მთის არწივი. ლენინის სიკვდილის შემდეგ ჩვენი გულისყური მიპყრობილი იყო ამხანაგ სტალინისაკენ. სტალინმა მთელი ხალხის სახელით ფიცი დასდო ლენინის კუბოსთან, და ეს ფიცი შესრულებულია. ფილმი დიდებულად, სწორად და გულში ჩამწვდომად ასახავს ამ მსოფლიო-ისტორიულ ამბებს.

მე, რომელსაც ბედნიერება მქონდა პირადად მრავალჯერ მენახა დიდი სტალინი, ვერ წარმოვიდგენდი თუ დამაკმაყოფილებდა მსახიობის თამაში, რომელიც ბელადს განასახიერებდა. არტისტ მიხეილ გელოვანის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ მან ჩინებულად დასძლია ურთულესი ამოცანა, შექმნა დიდი სტალინის მართალი, ალმაფრთოვანებელი სახე.

მადლობა მიხეილ ჭიაურელს ასეთი ფილმისათვის!

ანდრო ფირცხალავა

ძველი მუშა-რევოლუციონერი

ისტორიის ლოკომოტივის დიდი მემანქანე

საბჭოთა რკინიგზელები ჩვენს ბელადსა და მასწავლებელს მშობლიურ სტალინს ისტორიის ლოკომოტივის დიდ მემანქანეს ვუწოდებთ. ჩვენი ხალხის ყველა გამარჯვება, ჩვენი მიღწევები ამხანაგ სტალინის ბრძნული ხელმძღვანელობის შედეგია. ამხანაგი სტალინი უაღრესად გულისხმიერი, თავაზიანი და ყურადღებიანია მშრომელთა მიმართ. სწორედ ეს კეთილშობილური თვისება შესანიშნავადაა გადმოცემული კინოსურათ „ფიცში“.

ფილმი გვიჩვენებს საბჭოთა კავშირის ხალხთა სტალინურ მეგობრობას, ჩვენი სამშობლოს აყვავებას და ხალხის გმირულ ბრძოლას მტრების წინააღმდეგ. დიდი ლენინის ნათელი სახე ჩვენ მუდამ აღგვაფრთოვანებს. ლენინისადმი მიცემული ფიცი ბრწყინვალედ შეასრულა მისმა თანამებრძოლმა და ღირსეულმა მემკვიდრემ დიდმა სტალინმა. სტალინი ლენინია დღეს! ასეთ გრძნობებს გვიმტკიცებს ეს ფილმი, რომელმაც ასე გაგვახარა.

ა. წიკლაური

სოციალისტური შრომის გმირი

კადრი ფილმიდან „ფიცი“. ამხანაგი სტალინი მოსკოვში წითელ მოედანზე ლენინის კუბოსთან ფიცის წარმოთქმის დროს.

ფილმი დიად ფიცზე

თბილისის ლენინის ორდენოსანი კინოსტუდიის ახალი მხატვრული ფილმი — „ფიცი“ საბჭოთა კინემატოგრაფიის მორიგი გამარჯვებაა. სტალინური პრემიის ლაურეატმა საქართველოს სსრ სახალხო არტისტმა რეჟისორმა მიხეილ ჭიაურელმა შექმნა დიდი იდეურ-მხატვრული ძალის ფილმი, რომელშიც ბრწყინვალედ არის განხორციელებული გაბედული შემოქმედებითი შთანაფიქრი — ეჩვენებინა დიდი სტალინის სახე, საბჭოთა ხალხის ბრძოლა საყვარელი ბელადის მიერ ლენინის კუბოსთან დადებული ფიცის განსახორციელებლად.

„ფიცი“ არის დიდებული ეპოპეა, რომელიც მოიცავს საბჭოთა ადამიანების შრომისა და ბრძოლის ოც წელზე მეტი ხნის ისტორიას, მოგვითხრობს, თუ როგორ იზრდებოდა მსოფლიოში პირველი სოციალისტური სახელმწიფოს ძლიერება, რა პატრიოტული თავდადებით იბრძოდნენ ურღვევი სტალინური მეგობრობით დაკავშირებული სსრ კავშირის ხალხები, როგორ ისხამდა ხორცს სტალინური ფიცი.

სურათის სიუჟეტი (სცენარი ა. პავლენკოსი და მ. ჭიაურელისა) აგებულია სტალინგრადის რიგითი რუსი მუშის ცხოვრების ისტორიაზე. ეს თემა გაშლილია სსრ კავშირის განმტკიცების, სტალინურ ხუთწლედებში გრანდიოზული მშენებლობის გეგმების განხორციელების ფონზე. ჭეშმარიტი ხელოვანის ხელი ატყვია ფილმის ყოველ ეპიზოდს, ყოველ კადრს. ამაღელვებლად არის გაკეთებული წითელ მოედანზე ფიცის წარმოთქმის მომენტი. კრემლის კედლებთან თავი მოუყრია დიდძალ ხალხს. დუმილი სუფევს ირგვლივ. მშრომელთა გარინდებულ სახეზე გამოხატულია დიდი გლოვა და რწმენა, რწმენა იმისა, რომ სოციალისტური სამშობლოს საქმე საიმედო ხელშია. ეს არის კომუნისტური პარტია, ეს არის დიდი სტალინი, რომელიც ფიცს აძლევს თავის მასწავლებელს.

რეჟისორისა და მსახიობთა კოლექტივის სასახელოდ უნდა ითქვას, რომ პატრიოტული სცენებისა და ყოფაცხოვრების ამსახველი კადრების ოსტატური შერწყმით, ცალკე ადამიანების ბედისა და სამშობლოს კეთილდღეობის ურთიერთკავშირის ცოცხლად ჩვენებით ფილმი მიზანს აღწევს. მაყურებლის თვალწინ იშლება რეჟისორულად ღრმად მოფიქრებული ვარვარა პეტროვნას ცხოვრების გზა, რომელიც მჭიდროდ არის დაკავშირებული მისი ქვეყნის დიად საქმეებთან. ის თვითონ არის ამ ქვეყნის ერთ-ერთი შემოქმედი, რომელსაც აღაფრთოვანებს ლენინ-სტალინის დიადი საქმე. აგერ ეს რიგითი საბჭოთა მოქალაქე ხვდება ბელადს. საუბრის თემაა ომი. ადამიანური გულთბილობით, მაღალი ოსტატობით არის განსახიერებული ეს სცენა.

დიდი წარმატება ხვდა წილად სტალინური პრემიის ლაურეატს მიხეილ გელოვანს. ამ ნიჭიერმა მსახიობმა შესძლო მიეღწია არა მარტო გარეგნული მსგავსებისათვის, არამედ მართალი, ღრმა შინაგანი განცდებით მოეცა ბელადის დიადი სახე. მოკრძალებით, პორტრეტული მსგავსების დაცვით ასრულებენ სხვა მსახიობებიც ბელადის თანამებრძოლთა როლებს.

„ფიცის“ გადაღება სწარმოებდა საბჭოთა კავშირის ბევრ ქალაქში: თბილისში, მოსკოვში, გორკში, სტალინგრადსა და სხვ. ერთნაირად ძლიერად არის ეკრანიზებული გლოვის დღეები გორკში, ფიცის წარმოთქმის მომენტი წითელ მოედანზე, სატრაქტორო ქარხნის გახსნა სტალინგრადში და სხვა. არამცთუ მსახიობები, არამედ რიგითი ადამიანები, წარმატებით გამოდიან საპასუხისმგებლო მომენტებში, იძლევიან მართალ, დამაჯერებელ სურათს. ამგვარად, „ფიცი“,—ამბობს რეჟისორი, — არის არა მარტო ფილმი ხალხის შესახებ, არამედ იგი მნიშვნელოვანწილად საკუთრივ ხალხის სურათია“. ეს ჰმატებს ფილმს დიდ შემოქმედებითს ძალას. მას მაყურებელი აჰყავს ახალ სიმაღლეზე, საიდანაც ის მთელი ძალით განიცდის დიდებას შარავანდედით მოსილ, სტალინურ ხუთწლედებში და დიდ სამამულო ომში განვლილ გზას და მძლავრ სურვილს აღუძრავს, კვლავაც თავდადებით იბრძოლოს სამშობლოს კეთილდღეობისათვის.

„ფიცის“ მთავარი იდეურ-მხატვრული ღირსება ის არის, რომ მასში განხორციელებულია კინოხელოვანთა სანუკვარი ოცნება — მხატვრულად აესახათ დიდი სტალინის სახე, ეჩვენებინათ ხალხთა მასების უანგარო სიყვარული და რწმენა თავისი ბელადისადმი, რომელსაც მტკიცედ მიჰყავს სოციალიზმის სამშობლო ახალი გამარჯვებებისაკენ.

ა. სოხაძე

საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი გამარჯვება

ლენინის გლოვის დღეებში ამხანაგმა სტალინმა პარტიის სახელით დასდო ფიცი. მან სთქვა:

„მიდიოდა რა ჩვენგან, ამხანაგმა ლენინმა გვიანდერძა ჩვენ დავიცვათ და განვამტკიცოთ პროლეტარიატის დიქტატურა. გეფიცებით შენ, ამხანაგო ლენინ, არ დავზოგავთ ჩვენს ძალებს იმისათვის, რომ ღირსეულად შევასრულოთ ეს შენი ანდერძიც“.

დიდი მღელვარებით ვუცქერი ფილმს სტალინის, ბოლშევიკური პარტიის ამ ფიცის განხორციელებაზე. მაყურებლის თვალწინ თანმიმდევრულად გადაშლილია დიდებული სურათი საბჭოთა ხალხის გმირული ბრძოლისა, რომლის სულისჩამდგმელი და ორგანიზატორია დიდი სტალინი.

„ფიცი“ საბჭოთა კინემატოგრაფიის დიდი გამარჯვებაა. ის უდიდესი მხატვრული სიძლიერით და დამაჯერებლობით გადმოსცემს საბჭოთა ხალხს შრომისა და ბრძოლის უმნიშვნელოვანეს მომენტებს.

ფილმის შემქმნელს სტალინური პრემიის ლაურეატს ორდენოსან კინორეჟისორს მიხეილ ჭიაურელს ბრწყინვალე გამარჯვება ხვდა. უდიდესი რეჟისორული ოსტატობა და ჭეშმარიტი ხელოვანის შთაგონება იყო საჭირო, რომ ჩვეულებრივი ზომის კინოსურათში ესოდენ დამაჯერებლად და თვალწარმტაცად მოეცა საბჭოთა ქვეყნის 20 წელზე მეტი ხნის ისტორია.

მე როგორც მსახიობს, არ შემიძლია უდიდესი სიხარულით არ აღვნიშნო მიხეილ გელოვანის თამაში, რომელმაც ჩინებულად დასძლია ურთულესი ამოცანა და დიდი ბელადი განასახიერა ფილმში.

სამაყოა, რომ საქართველოს კინემატოგრაფიის ამ ბრწყინვალე ნამუშევარმა ესოდენ დიდი გამოხმაურება ჰპოვა საბჭოთა ხალხში.

უეჭველია, რომ „ფიცი“ საბჭოთა მაყურებლის საყვარელ სურათად გადაიქცევა.

ა. ხორავა

სსრ კავშირის სახალხო არტისტი, სტალინური პრემიის ლაურეატი

ყველამ უნდა ნახოს ეს შესანიშნავი ფილმი

„ფიცი“ უდიდესი მნიშვნელობის სურათია. მასში ასახულია ჩვენი სამშობლოს მიერ დიდი სტალინის ხელმძღვანელობით მოპოვებული გამარჯვებანი. ჩვენთვის—ძველი თაობის მუშებისათვის, რომლებმაც დიდი სტალინის ხელმძღვანელობით ვისწავლეთ მშრომელთა საქმისათვის ბრძოლა, ეს ფილმი განსაკუთრებით მშობლიური და მახლობელია.

ჩემს მეხსიერებაში მუდამ ცოცხლობს 1898 წელი, როდესაც რკინიგზის მთავარი სახელოსნოს მუშებთან მოვიდა 19 წლის ჭაბუკი და შეუდგა წრის ჩამოყალიბებას. ამხანაგი სტალინი ყოველთვის დიდი სიყვარულითა და აღტაცებით გვიამბობდა ლენინის შესახებ, გვიკითხავდა მის ნაწერებს, მტკიცედ ატარებდა ლენინურ ხაზს. ამხანაგი სტალინი იცავდა მუშათა კლასის მტრებისაგან ლენინის მოძღვრებას, ავითარებდა და წინ სწევდა მას.

და აი ეს ჭაბუკი, ჩვენი საყვარელი ხელმძღვანელი, გახდა ლენინის უერთგულესი თანამებრძოლი, მისი დიადი საქმის განმგრძობი. ამხანაგ სტალინის ხელმძღვანელობით ვიმარჯვებდით და ვიმარჯვებთ. ამიტომ უყვარს ის მთელ მოწინავე და პროგრესიულ კაცობრიობას.

კინოსურათი „ფიცი“ მნახველს უჩვენებს, რა არის ამხანაგი სტალინი საბჭოთა ხალხისათვის. ჩემი ნატვრაა, ნახონ ეს ფილმი კაპიტალისტური ქვეყნის მშრომელებმა. ის მათ ეტყვის, რომ დიდი სტალინი ხალხიდან იღებს ძალასა და ენერგიას და რომ სწორედ დიდი სტალინი არის ჩვენი ხალხის ძალისა და ენერგიის წყარო, მისი ყველა გამარჯვების სულისჩამდგმელი და ორგანიზატორი.

გიორგი ნინუა

ძველი მუშა-რევოლუციონერი

შენიშვნები ევკალიპტის კულტურის შესახებ

ევკალიპტი უძვირფასესი სუბტროპიკული კულტურაა. მას დიდი უპირატესობა აქვს სხვა მრავალი ჯიშის მცენარეებთან შედარებით. ევკალიპტს დიდი სამეურნეო მნიშვნელობა აქვს.

ოცი წლის ასაკში ევკალიპტი იძლევა საუკეთესო სამრეწველო ხე-ტყეს, რომელსაც იყენებენ რკინიგზის საჭიროებისათვის, წყალქვეშა ნაგებობათათვის და კავშირგაბმულობის საშუალებათათვის. ევკალიპტს იყენებენ, როგორც სამაგრ ხე-ტყეს, ქვანახშირისა და მადნეულის მრეწველობაში. ზოგიერთი სახის ევკალიპტის მერქანი მაგარი, სწორფეროვანი და საკმაოდ გამძლეა, ლამაზი სტრუქტურა და მკვრივი მასა აქვს, კარგად კრიალდება და ამიტომ ნატიფი სადურგლო ნაკეთობისათვის იხმარება.

მშრალად გამოხდის დროს ევკალიპტის მერქნისაგან ძვირფას ქიმიურ პროდუქტებს იღებენ. საპარფიუმერიო მრეწველობისათვის მეტად ძვირფასია ეთერის ზეთი, რომელსაც იღებენ ამ მცენარის ფოთლებისა და ნორჩი ქერქისაგან.

ევკალიპტის ქერქი და ფოთლები შეიცავენ მთრიმლავ ნივთიერებებს, რომლებსაც, როგორც ორგანულ მთრიმლავებს, ტყავის მრეწველობაში იყენებენ. ხის მერქნისა და ღრუბლისებრი ბოჭკოიანი ქერქისაგან ამზადებენ ქაღალდს.

ევკალიპტის მერქანს შეშად ხმარობენ. შეშა ფისოვან ნივთიერებათა შემცველობისა და უჯრედთა გარსების დიდი სისქის გამო კარგად იწვის.

ევკალიპტი გიგანტური ხეა. ლიტერატურაში არის ცნობები, რომ მის სამშობლო ავსტრალიასა და ტასმანიაში ცალკეული ხეები აღწევენ 100 მეტრ სიმაღლეს და დიამეტრი 4 მეტრი აქვთ.

ეკონომიურად ევკალიპტის ტყე მეტად ხელსაყრელია. სპეციალისტების გამოანგარიშებით, თავისი სწრაფი ზრდის მეოხებით ერთი ჰექტარი ევკალიპტის ტყე 20 წლის ასაკში იძლევა 800 კუბმეტრამდე მერქანს, მაშინ, როცა მუხის, ფიჭვის და სხვა ჯიშის მცენარეთა ტყეები მხოლოდ 100-120 წლის ასაკში იძლევიან ჰექტარზე 400-600 კუბმეტრ მერქანს, ჩვეულებრივ კი—200-300 კუბმეტრს.

ევკალიპტის ხეები გაკაფვის შემდეგ სწრაფად იზრდებიან ძირკვებიდან და განსაკუთრებით მოკლე ვადაში, 5-6 წლის მანძილზე, იძლევიან დიდძალ მერქანს, რითაც აჩქარებენ ტყის სამრეწველო ექსპლოატაციის ბრუნვას. მეტყევეობაში მეორე ასეთი მაგალითი თითქმის არ არის.

ევკალიპტი ნამდვილი ლაბორატორიაა ძვირფასი ზეთების სინთეზისა, რომლებიც მრავალნაირად შეიძლება გამოყენებულ იქნან მედიცინასა და ტექნიკაში. უძველესი დროიდან ცნობილია ამ მცენარის გამოყენება მედიცინაში. მისი ზეთი და ფოთლის ნაყენი სპირტზე მოხსენიებულია მსოფლიოს ყველა ფარმაკოპეაში.

სწრაფი ზრდისა და ფოთლოვანი ზედაპირის დიდი ფართობის გამო ევკალიპტს უნარი აქვს ინტენსიურად ამოაშროს ნიადაგიდან ტენი და აორთქლოს იგი. ამ უძვირფასეს თვისებას დიდი მნიშვნელობა აქვს ადგილის გაჯანსაღებისათვის.

ბოლოს, ევკალიპტი ცნობილია როგორც საუკეთესო თაფლოვანი და მარადმწვანე დეკორაციული ხე, რომელიც ჩვენში შეიძლება გაშენებულ იქნას დიდ მანძილზე შავი ზღვის სანაპიროს გაყოლებით — სოჭიდან გონიომდე.

ევკალიპტის 500-ზე მეტი სახიდან, რომლებიც ფართოდ არიან გავრცელებული ტროპიკულიდან ზომიერ სუბტროპიკულ რაიონებამდე, სახეთა მცირე რაოდენობა მაღალ მთებში ადის და ალპიურ და სუბალპიურ ზონებში გვხვდება. სწორედ ამ სახეთაგან ზოგიერთმა, როგორც ყველაზე უფრო ყინვისგამძლემ, დასავლეთ საქართველოს პირობებში და მათ შორის აჭარასა და აფხაზეთში სავსებით კარგად იხარა და წარმატებით მიმდინარეობს მათი დანერგვა.

საქართველოს სოციალისტური მეურნეობის გამოჩენილი ორგანიზატორის ამხანაგ ლ. პ. ბერიას ინიციატივით უკანასკნელი 10-12 წლის მანძილზე დიდი მუშაობაა გაწეული ევკალიპტის სამრეწველო გაშენებისა და განვითარებისათვის.

ჯერ კიდევ 1934 წლის დამდეგს საქართველოს შავი ზღვის სანაპიროზე ითვლებოდა ევკალიპტის სულ ხუთი ათასამდე ხე. ამჟამად ჩვენ გვაქვს 8 მილიონზე მეტი ძირი ევკალიპტი.

საქართველოს სუბტროპიკულ რაიონებში ახლა თითქმის არ არის არცერთი ქალაქი, კურორტი, საბჭოთა მეურნეობა, კოლმეურნეობა, სადაც ევკალიპტი არ იზრდებოდეს. ევკალიპტის ხეივნებითა და ტყეებით შემკობილია ჩვენი ქალაქები და სოფლები. ამ მცენარის მნიშვნელოვანი ნარგავები გვაქვს კოლხიდის დაბლობში, სადაც დიდი სამელიორაციო სამუშაოები სრულდება.

ნიადაგის ამოშრობისა და უმთავრესად ქარებისაგან დაცვის მიზნით ევკალიპტის მასივები გაშენებულია ცნობილ კურორტ წყალტუბოში.

შავი ზღვის გზატკეცილზე მდინარე ფსოუდან ბათუმამდე თეთრად მოსჩანან ევკალიპტის მუდამმწვანე კრონიანი ხეები, რომლებიც უკანასკნელი ათი წლის განმავლობაში გაიზარდნენ. ევკალიპტის ახალგაზრდა ხეივნებითა და ტყეებით სოფელ მაქარასთან იწყება ქლუხორის უღელტეხილის ლამაზი გზა. ბევრია ამ მცენარის ნარგავები ქალაქ სოხუმში, აგრეთვე აფხაზეთის გაგრის, გულრიფშისა და გალის რაიონებში. ეს ნარგავები მეტწილად კარგ და დამაკმაყოფილებელ მდგომარეობაშია.

უნდა აღინიშნოს, რომ ომის პერიოდში ჯეროვანი მოვლის უქონლობის, აგრეთვე 1941-1942 წლების ზამთრის ყინვების გამო ჩვენ დავკარგეთ ევკალიპტის დიდძალი ნარგავები.

უკანასკნელი ორი წლის განმავლობაში საქართველოს პარტიულმა და საბჭოთა ორგანიზაციებმა დასახეს მთელი რიგი უმნიშვნელოვანესი ღონისძიებანი, რომელთა განხორციელებაც უზრუნველყოფს ევკალიპტის კულტურის სწრაფ განვითარებას.

ახალი სტალინური ხუთწლედის ბოლოს ჩვენ უნდა გვქონდეს 40 მილიონი ევკალიპტის ხე. ამ გეგმის განსახორციელებლად 1946-1950 წლებში 32 მილიონზე მეტი ევკალიპტი უნდა დაირგოს.

საქართველოს კ. პ. (ბ) ცენტრალური კომიტეტის მდივანმა, ამხ. კ. ნ. ჩარკვიანმა თავის მოხსენებაში თბილისის პარტიული ორგანიზაციის აქტივის კრებაზე 1946 წლის 15 აპრილს ხაზგასმით აღნიშნა, რომ ევკალიპტის კულტურის განვითარებას დიდი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს, რომ ჩვენში გავრცელებული შეხედულება ევკალიპტზე, როგორც მხოლოდ დეკორატიულ მცენარეზე, ცალმხრივია. ამხ. ჩარკვიანმა სთქვა: „ევკალიპტს უდიდესი სამრეწველო მნიშვნელობა აქვს საქართველოსათვის და მისი გავრცელებით ერთნაირად უნდა იყვნენ დაინტერესებულნი როგორც სუბტროპიკული რაიონების კოლმეურნეობები და კოლმეურნეები, ისე ჩვენი ქალაქების, კერძოდ ქალაქ თბილისის სამრეწველო საწარმოები და მოსახლეობაც. საქმე ის არის, რომ საქართველოს, თუმცა გააჩნია ტყის მნიშვნელოვანი მასივები, მაგრამ, არსებითად, ჩვენ მაინც უტყეო რესპუბლიკა ვართ. საექსპლოატაციოდ მისაწვდომ ტყეებს ჩვენში აქვთ საკურორტო და ნიადაგდამცველი მნიშვნელობა, ხოლო ის ტყეები, რომლების ექსპლოატაციაც შეიძლება, მდებარეობენ ისეთ ადგილებში, სადაც ადამიანს მისვლა უჭირს. უკვე ილევა ის ტყეები, საიდანაც თბილისისა და სხვა ქალაქებისათვის მზადდება შეშა. ამავე დროს ევკალიპტის გაშენების დარგში კარგი მუშაობის დროს შეგვიძლია უახლოეს მომავალში მთლიანად უზრუნველვყოთ ჩვენი თავი საშენებლო ხე-ტყითა და შეშით“.

მიმდინარე წლის თებერვალში ამხანაგი ლ. პ. ბერია საქართველოში ყოფნის დროს პირადად გაეცნო ევკალიპტის კულტურის განვითარების მდგომარეობას და ერთხელ კიდევ გაამახვილა ჩვენი ყურადღება საქმის სწორედ ამ მხარისადმი, ხაზი გაუსვა იმ უდიდეს სამრეწველო მნიშვნელობას, რაც საქართველოსათვის ევკალიპტის კულტურას აქვს.

სუბტროპიკული კულტურების საკავშირო სასელექციო სადგურმა სოხუმში საქართველოს შავი ზღვის სანაპიროს პირობებში გამოსცადა ევკალიპტის 150-ზე მეტი სახე, რომელთაგან 100-ზე მეტმა ჩვენში ივარგა და ამჟამად ისინი სანაპიროს სხვადასხვა რაიონებშია გაშენებული. შესწავლისა და გამოცდის შედეგად სასელექციო სადგურმა წარმოებისათვის შეარჩია ევკალიპტის ყინვაგამძლე 16 სახე. მათგან, როგორც ყველაზე უფრო ყინვაგამძლე და ყველაზე უფრო ძვირფასი საშენებლო მასალის მომცემი, საუკეთესოა ევკალიპტის შემდეგი სახეები: გიგანტეა, ნიტენსი, დალრიმპლეანა და რობერტსონი. ევკალიპტის ახალი ჭალებისა და სამრეწველო ტყეების გაშენების დროს უპირატესობა უნდა მივცეთ როგორც აღნიშნულ, ისე სხვა საუკეთესო სახეებს.

უეჭველია, სამრეწველო ასორტიმენტი უნდა განირჩეოდეს მაღალი ყინვაგამძლეობით და ამავე დროს მერქნის მაღალი ხარისხით. ევკალიპტის ყინვაგამძლე სახეები გვაქვს, მაგრამ ისინი მნიშვნელოვანწილად მეორეხარისხოვან მერქანს იძლევიან. მაგრამ ჩვენ გვაქვს დაბალი ან საშუალო ყინვაგამძლეობის და ამავე დროს მაღალხარისხოვანი მერქნის მქონე სახეები. ევკალიპტის ისეთი ასორტიმენტის მისაღებად, რომელსაც ერთსა და იმავე დროს ორივე თვისება ექნებოდა, საჭიროა მივმართოთ ჰიბრიდიზაციასა და მასობრივ სელექციას.

მიმდინარე წელს აუცილებელია ადგილობრივი რეპროდუქციის თესლიდან გამოყვანილ ევკალიპტის ძვირფას სახეთა საწარმოო ნარგავებს შორის შევარჩიოთ ისეთნი, რომლებმაც მაღალი ყინვაგამძლეობა გამოიჩინეს, განსაკუთრებით იმ რაიონებში, სადაც ზამთარი შედარებით მკაცრი იცის. ასეთი ხეები უნდა გამოიყოს და ისინი შემდეგში გამოყენებულ იქნას თესლის შესაგროვებლად. ამ დიდმნიშვნელოვან მუშაობაში საჭიროა ფართოდ ჩავაბათ მეცნიერი მუშაკები, სპეციალისტი აგრონომები, აგრეთვე კოლმეურნეები.

ევკალიპტის კულტურა ჩვენში უმთავრესად ადგილობრივ ჯიშებსა და სახეებზე უნდა იყოს დამყარებული. მაგრამ ევკალიპტის ტყეების გაშენების დარგში პარტიისა და მთავრობის მიერ დასახული ამოცანის გადაჭრა პირველი რამდენიმე წლის მანძილზე შეიძლება ამ მცენარის ისეთი სახეების გამოყენებით, როგორიც არის ვიმინალისი, მაკარტური, ანტიპოლიტენზისი, რუბიდა, ცინერეა და სხვები. შემდეგ კი ისინი უნდა შეიცვალოს შემოწმებული და ძვირფასი ჰიბრიდული ფორმებით.

სათანადო სამეცნიერო-საკვლევმა დაწესებულებებმა საჭიროა შეიმუშაონ სატყეო კულტურისა და ევკალიპტის სამრეწველო ნარგავთა ექსპლოატაციის რაციონალური ხერხები, დააწესონ გაჩეხვის სისტემა კონკრეტული სამეურნეო მიზნების შესაბამისად, შეიმუშაონ გაჩეხილი პლანტაციების ამონაყრით განახლების რაციონალური მეთოდები, შეისწავლონ მერქნის ფიზიკურ-მექანიკური და ქიმიური თვისებანი.

ევკალიპტის კულტურის განვითარება სწორად უნდა უფარდდებოდეს სხვა ძვირფასი სუბტროპიკული და ტექნიკური კულტურების განვითარებას.

ჩვენ უკვე დავაგროვეთ ევკალიპტის გაშენების საკმაოდ დიდი გამოცდილება, გვყავს სპეციალისტთა სათანადო კადრები, რომლებსაც ათვისებული აქვთ სარგავი მასალის გამოყვანა—ყველაზე უფრო რთული და შრომატევადი აგროტექნიკური პროცესი. ამოცანა იმაში მდგომარეობს, რომ გადაჭრით გამოვასწოროთ ნაკლოვანებანი და ბოლშევიკურად განვახორციელოთ პარტიისა და მთავრობის მოთხოვნები უძვირფასესი კულტურის — ევკალიპტის განვითარების საქმეში.

მ. დელბა

ასიათასიანი მიტინგი ბუდაპეშტში

ბუდაპეშტი, 28 ივლისი. (საკდესი). 25 ივლისს შესდგა დიდი ბუდაპეშტის მშრომელთა მიტინგი, რომელიც მოიწვიეს კომუნისტურმა და სოციალ-დემოკრატიულმა პარტიებმა. დაესწრო 100 ათასზე მეტი კაცი.

მიტინგი გახსნა უნგრეთის პროფკავშირების ნაციონალური საბჭოს გენერალურმა მდივანმა იშტვან კოშამ, რომელმაც სთქვა, რომ მიტინგი მოწვეულია ახალი ფულის შემოღების წინ იმისათვის, რათა უნგრეთის დედაქალაქის მშრომელებმა შესძლონ გამოსთქვან თავიანთი დამოკიდებულება სტაბილიზაციის დარგში ორი მუშათა პარტიის მიერ შემუშავებული და წამოყენებული ღონისძიებებისადმი, რომლებიც ახლა ხორციელდება.

მიტინგის მონაწილეთა წინაშე პირველი გამოვიდა სოციალ-დემოკრატიული პარტიის ლიდერი არპად საკაშიჩი, რომელმაც აღნიშნა ის უდიდესი სიძნელეები, რაც უნგრელმა მუშებმა განიცადეს ინფლაციის პერიოდში.

„ჩვენ,—სთქვა მან,—მივუახლოვდით ამ მწარე პერიოდის დასასრულს. უნგრეთში შემოღებული იქნება ახალი ვალუტა, ბოლო მოეღება ფულის უმყარობას და მასთან ერთად ბოლო მოეღებათ სპეკულანტებსაც". მუშების, გლეხებისა და ინტელიგენციის შრომა, სთქვა შემდეგ ორატორმა, უზრუნველჰყოფს ფორინტს (ფულის ახალი ნიშანი) და საფინანსო-ეკონომიური მდგომარეობის სტაბილიზაციას, მაგრამ ფორინტის ყველაზე მეტ უზრუნველყოფას წარმოადგენს მუშათა ერთიანობა. მქუხარე ოვაცია გამოიწვიეს საკაშიჩის სიტყვებმა იმის შესახებ, რომ უნგრელ ხალხს სურს იცხოვროს მეგობრულად საბჭოთა კავშირთან, რომლისგანაც იგი ასე დიდად არის დავალებული.

შემდეგ გამოსულმა უნგრეთის კომპარტიის გენერალურმა მდივანმა მატიას რაკოშიმ სთქვა, რომ „მხოლოდ ორი მუშათა პარტია იბრძოდა განუწყვეტლივ უნგრეთის ეკონომიკის წონასწორობის დამყარებისათვის. მუშებსა და გლეხებს სჯერათ სტაბილიზაციის, სჯერათ ახალი ვალუტის".

ახლა, სთქვა რაკოშიმ, არ შეიძლება ვიოცნებოთ, რომ აგვისტოს პირველსავე კვირაში უნგრეთში საქონლის სიუხვე იქნება, უნდა დავრაზმოთ სოფელი დამშეული მუშებისათვის სურსათის მისაწოდებლად. სახელმწიფო ხარჯების შესამცირებლად ახლა ტარდება შტატების შემცირება. ეს არა მარტო ეკონომიური, არამედ პოლიტიკური საქმეც არის. დათხოვნილი იქნებიან რეაქციონერები, და სავსებით გასაგებია, რომ მათ ასტეხეს დიდი კამპანია შინაგან საქმეთა მინისტრის წინააღმდეგ.

„უნდა მოგახსენოთ,—სთქვა ორატორმა,—რომ ამჟამად რეაქცია თავს იჩენს ეროვნული კრების შიგნითაც. იგი ბრძოლას აწარმოებს ახალი ვალუტის წინააღმდეგ, სტაბილიზაციის წინააღმდეგ. დიდი ბუდაპეშტის ყოველმა მშრომელმა უნდა შეიგნოს, რომ მტკიცე ვალუტისათვის ბრძოლას, შტატების წმენდასა და შემცირებას არა ნაკლები მნიშვნელობა აქვს, ვიდრე მიწის რეფორმას".

შინაგან საქმეთა მინისტრმა ლასლო რაიკმა თავის სიტყვაში სთქვა: „ჩვენ განვიცდით მშვიდობიანობისა და წესრიგისათვის ბრძოლის გადამწყვეტ დღეებს. დიდი პასუხისმგებლობა აკისრია შინაგან საქმეთა სამინისტროს და ჩვენ ყველაფერს ვაკეთებთ, რაც შეგვიძლია. ჩვენ უკვე გავგზავნეთ შრომითი სამუშაოებზე მრავალი სპეკულანტი, რომლებიც ხელს უშლიდნენ ჩვენს კეთილდღეობას. ჩვენი საქმიანობის წარმატებებით შეიძლება აიხსნას რეაქციის გაბოროტება შინაგან საქმეთა სამინისტროს წინააღმდეგ. სუფთა სინდისით უნდა განვაცხადო, რომ ჩვენ ყველაფერი გავაკეთეთ იმისათვის, რათა უკან არ გადაიდგას არცერთი ნაბიჯი. მშრომელთა ფართო მასებზე დაყრდნობით ჩვენ დავიცავთ დემოკრატიას რეაქციის ყველა და ყოველგვარი თავდასხმისაგან".

კანონპროექტი უნგრეთში ელექტროსადგურების ნაციონალიზაციის შესახებ

ბუდაპეშტი, 27 ივლისი. (საკდესი). ბუდაპეშტის რადიო გადმოგვცემს, რომ უნგრეთის მრეწველობის მინისტრმა უნგრეთის ეროვნული კრების განსახილველად შეიტანა ელექტროსადგურების ნაციონალიზაციის კანონპროექტი. კანონპროექტი ითვალისწინებს, რომ ნაციონალიზებული არ იქნება დედაქალაქის მუნიციპალიტეტის გამგებლობაში მყოფი ელექტროსადგურები, მაგრამ სახელმწიფოს უფლება აქვს პირველ რიგში გამოიყენოს არანაციონალიზებული ელექტროსადგურები. სახელმწიფომ მფლობელებს უნდა გადაუხადოს ნაციონალიზებული ელექტროსადგურებისა და ელექტრომოწყობილობის ღირებულება. მრეწველობის მინისტრი ამჟამად ამზადებს სპეციალურ კანონპროექტს, რომელიც ელექტროსადგურების მფლობელთათვის ანაზღაურებას ეხება.

მუშაობა დაამთავრა მოსახლეობის გაცვლის ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის კომისიამ

პრაღა, 25 ივლისი. (საკდესი). ჩეხოსლოვაკიის დეპეშათა სააგენტო ბრატისლავიდან იუწყება, რომ სტარი სმოკოვეცში მუშაობა დაამთავრა მოსახლეობის გაცვლის ჩეხოსლოვაკია-უნგრეთის შერეულმა კომისიამ. კომისიამ შეიმუშავა გადასახლების კონკრეტული წესები, შექმნა წინაპირობები მოსახლეობის გაცვლის შესახებ შეთანხმების პრაქტიკული შესრულებისათვის.

ცნობაში ნათქვამია, რომ შერეული კომისიის ორივე მხარე მოელის მათს სახელმწიფოებსა და ხალხებს შორის კარგი მეზობლური ურთიერთობის განმტკიცებას. შეთანხმების ზოგიერთი დეტალის შესახებ კომისიას კიდევ ესაჭიროება ექსპერტთა აზრი, რომელიც მოსმენილ იქნება კომისიის მორიგ სხდომაზე, რაც 1946 წლის 5 აგვისტოსათვის უნგრეთში არის დანიშნული.

ბულგარეთის სახალხო კრებამ მოიწონა რეფერენდუმისა და არჩევნების კანონპროექტები

სოფია, 26 ივლისი. (საკდესი). გუშინ სახალხო კრება შეუდგა რეფერენდუმის გზით ბულგარეთის სახალხო რესპუბლიკად გამოცხადების, აგრეთვე დიდი სახალხო კრების არჩევნების კანონის პროექტის განხილვას.

კანონპროექტის დასასაბუთებელ ნაწილში ნათქვამია: „ასრულებს რა ბულგარელი ხალხის წინაშე მიღებულ ვალდებულებას, მთავრობა სამამულო ფრონტის პარტიებთან სრული თანხმობით სთვლის, რომ დადგა შესაფერი მომენტი, როცა ხალხმა უნდა გამოსთქვას აზრი მონარქიის ლიკვიდაციისა და სახალხო დემოკრატიული რესპუბლიკის დაარსების საკითხზე, აგრეთვე აირჩიოს დიდი სახალხო კრება ბულგარეთის ახალი კონსტიტუციის შესამუშავებლად. ამ აქტით მთავრობას ამავე დროს სურს უპასუხოს მმართველობის ფორმის შესახებ სამი დიდი მოკავშირე სახელმწიფოს ყირიმის გადაწყვეტილებებიდან გამომდინარე მოთხოვნებზე".

კანონპროექტი სახავს რეფერენდუმის ჩატარებას 8 სექტემბერს განსაკუთრებული კანონით დადგენილი წესით. მმართველობის რესპუბლიკური ფორმა ხალხის მიერ მოწონებულად ჩაითვლება, თუ ხმისმიმცემთა ნახევარზე მეტი ხმას მისცემს სახალხო რესპუბლიკას. რეფერენდუმის შედეგებს გამოარკვევს და გამოაცხადებს უმაღლესი საკასაციო სასამართლოს საერთო კრება ექვსი დღის ვადაში.

სამამულო ფრონტში შემავალი ყველა პარტიის საპარლამენტო ჯგუფების წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ უსიტყვოდ უჭერენ მხარს კანონპროექტს.

ამის შემდეგ კანონის პროექტს კენჭი უყარეს ჩვეულებრივი წესით, შემდეგ კი თვითეული დეპუტატის ინდივიდუალური გამოკითხვის წესით. ყველა დამსწრე დეპუტატმა მხარი დაუჭირა ახალი კანონის მიღებას.

პარლამენტის სხდომის დამთავრების შემდეგ სახალხო კრების მოედანზე გაიმართა ხალხმრავალი მიტინგი, რომელიც მოაწყეს სამამულო ფრონტის საოლქო და საქალაქო კომიტეტებმა. მიტინგზე სიტყვებით გამოვიდნენ სამამულო ფრონტის პარტიების წარმომადგენლები და პარლამენტის დეპუტატები. მიტინგის მონაწილეებმა ერთსულოვნად მიიღეს რეზოლუცია, რომელიც იწონებს კანონპროექტს.

სოფია, 27 ივლისი. (საკდესი). გუშინ სახალხო კრებამ მეორე წაკითხვით საბოლოოდ მიიღო კანონპროექტები რეფერენდუმისა და დიდი სახალხო კრების მოწვევის, აგრეთვე რეფერენდუმისა და არჩევნების ჩატარების წესის შესახებ.

ბულგარეთში აღმოაჩინეს ფაშისტური ორგანიზაცია

სოფია, 28 ივლისი. (საკდესი). სტარაია ზაგორაში აღმოაჩინეს ფაშისტური კონსპირატიული ორგანიზაცია, რომელიც მიზნად ისახავდა სამამულო ფრონტის ხელისუფლების დამხობას საბოტაჟისა და დივერსიის გზით. ორგანიზაციას ჰქონდა წესდება, რომელიც მას ორიენტაციას აძლევდა შინაურ ოპოზიციასთან კავშირზე და უცხოეთის ჩარევაზე. ორგანიზაციის წევრები და მისი მეთაური სტანისლავ კალიჩევი დააპატიმრეს და სამართალში მისცეს.

ინდოეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები

დელი, 25 ივლისი. (საკდესი). დამთავრდა ინდოეთის დამფუძნებელი კრების არჩევნები, გარდა ინდოეთის სამთავროთა წარმომადგენლებისა. ინდოეთის ნაციონალურმა კონგრესმა დამფუძნებელ კრებაში მიიღო 201 ადგილი, მუსლიმანთა ლიგამ — 73, დამოუკიდებლებმა —14 ადგილი. 93 ადგილი დატოვებულია ინდოეთის სამთავროთა წარმომადგენლებისათვის, რომლებიც დამფუძნებელ კრებაში უფრო გვიან შევლენ. სიქხებისათვის მიცემული 4 ადგილი ვაკანტური დარჩა, ვინაიდან მათ ბოიკოტი გამოუცხადეს არჩევნებს.

კონგრესის არაწევრთაგან დამფუძნებელ კრებაში არჩეული არიან დაბალი კასტების სრულიად ინდოეთის ფედერაციის ხელმძღვანელი ამბედკარი, კომუნისტი სომნატ ლაჰირი, რომელიც ერთადერთი კომუნისტია დამფუძნებელ კრებაში, და სურსათის ყოფილი მინისტრი სრივასტავა. განდის თავისი კანდიდატურა არ წამოუყენებია და დარჩა როგორც მრჩეველი.

მდგომარეობა იულიის კრაინის „ა" ზონაში

ბელგრადი, 26 ივლისი. (საკდესი). იუგოსლავიის პრესას მოჰყავს იულიის კრაინის „ა" ზონაში ტერორის მრავალი ფაქტი. 21 ივლისს ღამით ფაშისტ ბანდიტთა ჯგუფმა გაზეთ „ილ ნოსტრო ჯორნალეს" სტამბის შენობაში ქალაქ პოლაში შეაგდო ბოთლი საწვავი სითხით, რის შედეგადაც გაჩნდა ხანძარი. იმავე ღამეს სლოვენია-იტალიის ანტიფაშისტური კავშირის საქალაქო კომიტეტის შენობაში შეაგდეს ცეცხლგამჩენი ბომბი. სამოქალაქო პოლიციას არავითარი ზომები არ მიუღია დამრბევთა წინააღმდეგ.

„ა" ზონის რაიონულ ცენტრ ბოვაცში იმყოფება სამოქალაქო პოლიციის დიდი გარნიზონი, რომელიც უმთავრესად შესდგება ყოფილი იტალიელი ფაშისტებისაგან. მოსახლეობის დევნა სამოქალაქო პოლიციის მხრივ იმდენად აუტანელი გახდა, რომ ბოვაცისა და ახლო მდებარე სოფლების ბევრმა მცხოვრებმა დატოვა თავისი სახლი და ტყეებში იმალება.

ტრიესტის საპყრობილეებში მოთავსებულია ამასწინანდელი საყოველთაო გაფიცვის დროს დაპატიმრებული ანტიფაშისტი. პარტიზანთა მხარეზე მებრძოლ ზოგიერთ ანტიფაშისტს საკატორღო სამუშაო მიუსაჯეს.

პრესაში გამოქვეყნებულია იმ დეპეშის ტექსტი, რომელიც იუგოსლავიის პროფკავშირთა ცენტრალურმა კომიტეტმა გაუგზავნა პროფკავშირთა მსოფლიო ფედერაციის აღმასკომს.

„იულიის კრაინის „ა" საოკუპაციო ზონაში,—ნათქვამია დეპეშაში,—ფაშისტური ტერორი მძვინვარებს. ტრიესტისა და სხვა სამრეწველო ცენტრების მუშებმა მთელი ანტიფაშისტური მოსახლეობის სრული მხარდაჭერით მოაწყეს 12-დღიანი გენერალური გაფიცვა ფაშისტური ტერორის წინააღმდეგ პროტესტის ნიშნად. მაგრამ ფაშისტური ტერორი არ სწყდება. საოკუპაციო სამხედრო სამმართველოს სამოქალაქო პოლიციამ იულიის კრაინის „ა" ზონა ფაშისტური ძალადობის ასპარეზად გადააქცია. საოკუპაციო ხელისუფალთა მფარველობით ხორციელდება მასობრივი ტერორი მუშებისა და მათი პროფკავშირების მიმართ. ტრიესტში, ტრჟიჩში, ისევე როგორც მთელს „ა" ზონაში, შეიარაღებული ფაშისტური ბანდები განუწყვეტლივ თავს ესხმიან უიარაღო ანტიფაშისტ მუშებს, ათავსებენ მათ საპყრობილეებში, სცემენ და ესვრიან".

პოლონეთში გერმანული საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა ორგანიზაციების დელეგაციების თავმჯდომარეთა საერთაშორისო კონფერენციის გადაწყვეტილება

ვარშავა, 2[illegible] ივლისი. (საკდესი). გერმანული საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა ორგანიზაციების დელეგაციების თავმჯდომარეთა საერთაშორისო კონფერენციაზე მიღებულ იქნა გადაწყვეტილება მოწვეულ იქნას ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა საერთაშორისო კონგრესი პარიზში. არჩეულია კონგრესის მომწვევი საორგანიზაციო კომიტეტი.

კონფერენციის მონაწილეებმა ერთხმად მიიღეს რეზოლუცია ესპანეთის საკითხზე. რეზოლუციაში, კერძოდ, ნათქვამია:

„გერმანულ-ფაშისტური საკონცენტრაციო ბანაკების ყოფილ პოლიტიკურ პატიმართა ნაციონალური დელეგაციების თავმჯდომარეები, რომლებიც შეიკრიბნენ კონფერენციაზე ვარშავაში, აღნიშნავენ, რომ გენერალ ფრანკოს ფაშისტური რეჟიმის არსებობა საფრთხეს უქმნის მშვიდობასა და საერთაშორისო უშიშროებას, აბრკოლებს დემოკრატიული პრინციპების საყოველთაო ზეიმს, შეურაცხჰყოფს ყველას, ვინც ამ პრინციპებისათვის იბრძოდა და იტანჯებოდა, და მთელი მსოფლიოს სახელმწიფოებს მოუწოდებენ გამოიყენონ ყოველგვარი საშუალებანი, რათა ფრანკოს რეჟიმის წინააღმდეგ ბრძოლა მიიყვანონ ამ რეჟიმის საბოლოო დამხობამდე, რაც საშუალებას მისცემს ესპანელ ხალხს შემოიღოს თავის ქვეყანაში დემოკრატიული წყობილება.

პოლონეთს ჩავიდა საფრანგეთის სავაჭრო დელეგაცია

ვარშავა, 26 ივლისი. (საკდესი). როგორც პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, 25 ივლისს ვარშავას ჩავიდა საფრანგეთის სავაჭრო დელეგაცია. საფრანგეთის დელეგაციის წევრები მოემგზავრებიან სილეზიაში, სადაც რამდენიმე დღით სტუმრებიან პოლონეთის ქვანახშირის მრეწველობის მთავარი სამმართველოს ხელმძღვანელებს.

ვარშავა, 27 ივლისი. (საკდესი). პოლონეთის პრესის სააგენტო იუწყება, რომ პოლონეთ-საფრანგეთის სავაჭრო მოლაპარაკება, რაც მეტად ხელსაყრელ ატმოსფეროში სწარმოებდა, წარმატებით დამთავრდა. უახლოეს დღეებში პარიზში ხელს მოაწერენ სავაჭრო ხელშეკრულებას.

„პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" ოპოზიციური ჯგუფის ყრილობის მომზადება

ვარშავა, 27 ივლისი. (საკდესი). ყოველკვირეულ „ნოვე ვიზვოლენიეს" ცნობით, „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" (მიკოლაიჩიკის პარტია) რიგების ოპოზიციამ, რომელიც ამ ჟურნალის გარშემო არის დაჯგუფებული, გადაწყვეტილება მიიღო მოიწვიოს ყრილობა თავისი მიმხრეებისა მთელ პოლონეთში. ამასთან დაკავშირებით აღნიშნავენ, რომ „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" ხელმძღვანელობა ამჟამად სრული დუმილით უვლის გვერდს პარტიის ყრილობის მოწვევის საკითხს. დაახლოებით ერთი თვის წინათ „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" საგანგებო ყრილობის მოწვევა დანიშნული იყო 9 ივლისისათვის. მაგრამ, როგორც სჩანს, „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" რიგებში ოპოზიციის ზრდამ ის გამოიწვია, რომ ამ პარტიის ლიდერებმა გადასდეს ყრილობის მოწვევა.

უარჰყოფს რა რეაქციასთან კავშირს, „ნოვე ვიზვოლენიე" აცხადებს:

„იმ დროში, როდესაც შეგნებულად ისწრაფვიან პოლონეთში სამოქალაქო ომი გააჩაღონ, ვერ დარჩება ვერცერთი პოლონელი გლეხი, ვერცერთი გლეხი მოლაშქრე, „ვიცის" (გლეხი ახალგაზრდობის ორგანიზაცია) ვერცერთი ნამდვილი მიმხრე. იქ, სადაც „ნაროდოვე სილი ზბროინეს", ანდერსის, რაჩკევიჩის ან საზღვარგარეთული ცენტრების სხვა ხელმძღვანელთა გავლენა ემჩნევა, არ შეიძლება იყოს არცერთი კეთილსინდისიერი და სალად მოაზროვნე პოლონელი გლეხი. ამიტომ ჩვენ მივიღეთ გადაწყვეტილება დავიწყოთ ძნელი, მაგრამ აუცილებელი ბრძოლა „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" გაჯანსაღებისათვის, იმისათვის, რომ მოვაბრუნოთ იგი კატასტროფული გზიდან, რომელზეც იგი დააყენა „პოლსკე სტრონიცტვო ლიუდოვეს" ხელმძღვანელ ორგანოთა უმრავლესობის დამღუპველმა პოლიტიკამ".

მიკოლაიჩიკის როლის შესახებ ჟურნალი სწერს: „ადამიანის შესახებ მსჯელობენ მისი შრომის შედეგების მიხედვით და არა მჟღერალი და ხშირად ცარიელი სიტყვების მიხედვით. მიკოლაიჩიკის პოლიტიკის შედეგები კი საბოლოოდ ყველაზე საბედისწეროა და დაგმობის ღირსი".

თავრიზიდან საბჭოთა სომხეთში გაემგზავრნენ სომხები

თავრიზი, 28 ივლისი. (საკდესი). 26 ივლისს დილით თავრიზიდან სომხეთა პირველი ჯგუფი, დაახლოებით 700 კაცი, გაემგზავრა საბჭოთა სომხეთში. უახლოეს დღეებში გაემგზავრება სომხეთა მეორე ჯგუფი.

საზავო კონფერენციაზე ინგლისის დელეგაციის მეთაური იქნება ეტლი

ლონდონი, 27 ივლისი. (საკდესი). როგორც რეიტერის სააგენტო გადმოგვცემს, 27 ივლისს ოფიციალურად გამოცხადდა, რომ ინგლისის საგარეო საქმეთა მინისტრი ერნესტ ბევინი ავადმყოფობის გამო ვერ გაემგზავრება პარიზს საზავო კონფერენციაზე.

პრემიერ-მინისტრმა კლემენტ ეტლიმ გადაწყვიტა სათავეში ჩაუდგეს ინგლისის დელეგაციას.

გაზეთი „ნოიეს დოიჩლანდი" გერმანიაში ნაცისტური ფირმების აღორძინების შესახებ

ბერლინი, 27 ივლისი. (საკდესი). გაზეთმა „ნოიეს დოიჩლანდმა" სათაურით „კრუპი კვლავ აქტიური ხდება" დაბეჭდა სტატია, რომელშიც სწერს, რომ ომის გაჩაღებაში დამნაშავე პირები, რომლებიც პასუხისმგებელნი არიან გერმანიაში ამჟამად არსებული სამეურნეო ქაოსისათვის, კვლავ იწყებენ თავისთვის პოზიციების მომზადებას. მაგალითისათვის გაზეთს მოჰყავს კრუპის ფირმის მოქმედება. „ამ ფირმას, — ნათქვამია სტატიაში, — ჰქონდა არა მარტო უზარმაზარი საწარმოები, არამედ დიდი მამულებიც, ჩვენ მოველოდით, რომ ეს მამულები, რომლებიც სამხედრო დამნაშავეებს ეკუთვნის, დაუყოვნებლივ იქნებოდა ჩამორთმეული და თვითმმართველობის ორგანოებს გადაეცემოდა, მაგრამ ფაქტები მოწმობენ, რომ გერმანიის ზოგიერთ ნაწილში სამხედრო დამნაშავეთა საქმეები ჯერ კიდევ ბრწყინვალე მდგომარეობაშია".

გაზეთის სიტყვით, „ფრიდრიხ კრუპ, ა. გ."-ის ფირმამ 1942 წელს ჰიტლერის დახმარებით შესძლო ტორფის დიდი ჭაობის მიღება ოსტაფიფენში. გერმანიის კაპიტულაციის შემდეგ კრუპი უკვალოდ გაქრა და ტორფის დამუშავების გამგებლობა რაიონის ბურგომისტრმა იკისრა. მას შემდეგ, რაც ტორფის დამუშავება მოგვარებულ იქნა და მნიშვნელოვან მოგებას იძლეოდა, ოლქის ლანდრატმა ლეერმა ბურგომისტრს აცნობა, რომ მას ტორფის დამუშავების მმართველის მოვალეობის შესრულება შეუძლია მხოლოდ 1946 წლის 1 ოქტომბრამდე, რის შემდეგ გამგებლობა კვლავ გადადის კრუპის ფირმის ხელში.

„ამრიგად, — სწერს გაზეთი, — საოლქო მმართველობის დახმარებით ისეთი სამხედრო დამნაშავე, როგორიც კრუპია, უკანვე იღებს თავის სამფლობელოთა ნაწილს, რათა მოსახლეობის ექსპლოატაციის საშუალებით კვლავ გამდიდრდეს. საქმე ასე იწყება. დღეს — ჭაობა, ხვალ—ფაბრიკა, ზეგ კი ეს ვაჟბატონები კვლავ გაბედავენ [illegible] „შეიარაღების ოსტატად", თუ ანტიფაშისტურ-დემოკრატიული ძალები საერთო ძალღონით არ ჩაფუშავენ მათს გეგმებს".

ინგლის-ამერიკის წინადადებანი პალესტინაში არსებული მდგომარეობის მოსაწესრიგებლად

ნიუ-იორკი, 28 ივლისი. (საკდესი). გაზეთ „ნიუ-იორკ ტაიმსის" ლონდონელი კორესპონდენტი იუწყება, რომ ინგლისისა და ამერიკის მთავრობების წარმომადგენელთაგან შემდგარმა კომისიამ, რომელიც პალესტინის საკითხს სწავლობს, პალესტინისათვის წამოაყენა ეგრეთწოდებული „ფედერალური კონსტიტუცია", რის თანახმადაც პალესტინაში შეიქმნება არაბთა და ებრაელთა „ავტონომიური" პროვინციები, მაგრამ, კორესპონდენტის სიტყვით, ეს „ავტონომია იმაზე ნაკლები იქნება, ვიდრე ინგლისის კოლონიებს მე-18 საუკუნეში ჰქონდათ, ან ვიდრე ახლა ნავარაუდევია მიეცეს ინდოეთს".

კომისია თავის მოხსენებაში რჩევას იძლევა დაშვებულ იქნას პალესტინაში 100 ათასი ევროპელი ებრაელი, რასაც დაჟინებით მოითხოვდა ტრუმენი და რაც წამოაყენა პალესტინაში არსებული მდგომარეობის შემსწავლელმა ინგლის-ამერიკის კომისიამ, იმ პირობით, რომ „ფედერალური მოწყობის" გეგმა მიღებული იქნება. ამ გეგმის თანახმად ცენტრალური მთავრობა, რომელსაც კონტროლს გაუწევენ ინგლისელები, თავის ძალაუფლებას გაავრცელებს უშუალოდ იერუსალიმზე, ბეთლემზე და ნეგევის მიდამოებსა და რაიონზე. ებრაელთა პროვინციაში შევა სამხრეთი სანაპირო სარონის დაბლობის ორ მესამედამდე ნაწილი იაფის გამოკლებით, ეზდრელონის დაბლობი, იზრეელის დაბლობი და აღმოსავლეთი გალილეა ბესანის ჩრდილოეთით. დანარჩენი პალესტინა არაბების იქნება.

მოხსენებაში წამოყენებულია წინადადება, რომ ინგლისის ცენტრალურმა მთავრობამ კონტროლი გაუწიოს თავდაცვას, საგარეო პოლიტიკას, პოლიციას, საპყრობილეებს, სასამართლოებს, ფოსტას, ტელეფონს, ტელეგრაფს, საბაჟო გადასახადებს, საქციზო გამოსაღებს, სამოქალაქო ავიაციას, რადიოს, აგრეთვე რკინიგზასა და ჰაიფის ნავსადგურს. ცენტრალური მთავრობა კონტროლს გაუწევს აგრეთვე იმიგრაციას, მაგრამ პროვინციულ მთავრობებს უფლება ექნებათ მიმართონ გაერთიანებული ერების ორგანიზაციის მეურვეობის საბჭოს. პროვინციებში იმოქმედებენ საკუთარი საკანონმდებლო კრებები, მაგრამ ცენტრალური მთავრობა დანიშნავს თავმჯდომარეებს, რომლებსაც კანონებზე ვეტოს დადების უფლება ექნებათ. პროვინციებში აღმასრულებელ ძალაუფლებას განახორციელებენ ინგლისის უმაღლესი კომისრის მიერ დანიშნული მინისტრთა საბჭოები. უმაღლეს კომისარს რწმუნება ეძლევა საჭიროების შემთხვევაში მთლიანად ან ნაწილობრივ შესცვალოს პროვინციული მთავრობები.

ინგლისის საოკუპაციო ხელისუფლებამ დანია-გერმანიის საზღვრის დაცვა გერმანულ პერსონალს გადასცეს

კოპენჰაგენი, 28 ივლისი. (საკდესი). დანიის გაზეთები იუწყებიან, რომ ინგლისის საოკუპაციო ხელისუფალნი დანია-გერმანიის საზღვრის დაცვას გერმანულ პერსონალს აკისრებენ, რის შედეგადაც საზღვრის დამრღვევთა რიცხვი მნიშვნელოვნად გადიდდა. უკანასკნელ თვეში დანიის მესაზღვრე ჯარებმა შეიპყრეს 100-ზე მეტი კაცი, რომლებიც ცდილობდნენ არალეგალურად გადასულიყვნენ გერმანიიდან დანიაში. დანიელები შიშობენ, რომ ზამთარში საზღვარზე არალეგალურად გადასვლის რაოდენობა კიდევ უფრო გაიზრდება.

ანატოლიის სააგენტოს ოფიციალური ცნობები თურქეთის მეჯლისის არჩევნების შედეგების შესახებ

ანკარა, 24 ივლისი. (საკდესი). ანატოლიის სააგენტოს ცნობით, სახალხო რესპუბლიკურმა პარტიამ მეჯლისში მიიღო 396 ადგილი, დემოკრატიულმა პარტიამ—62 და დამოუკიდებლებმა—7.

გამოფენები და კონსულტაციები ახალ ხუთწლიან გეგმასთან დაკავშირებით

საქართველოს სსრ მინისტრთა საბჭოსთან არსებულ კულტურულ-საგანმანათლებლო დაწესებულებების საქმეთა კომიტეტმა მუზეუმების დირექტორებს მისცა მითითება მოაწყონ გამოფენები და კონსულტაციები ხუთწლიანი გეგმის კანონთან დაკავშირებით.

მხარეთმცოდნეობის მუზეუმებს დაევალათ გაშალონ სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა თავისი მხარის შესასწავლად და ბუნებრივი სიმდიდრეების გამოსავლინებლად.

ექსპედიციები ქართველ მწერალთა სამშობლო სოფლებში

საქართველოს სახელმწიფო ლიტერატურული მუზეუმი (დირექტორი, აკადემიკოსი გ. ლეონიძე) აწყობს სამეცნიერო-კვლევით ექსპედიციებს მცხეთის, დუშეთის, თელავის, სიღნაღის, გორის, მახარაძის, თეთრი წყაროსა და სტალინირის რაიონებში. ექსპედიციების მიზანია ილია ჭავჭავაძის, ვაჟა-ფშაველას, ე. ნინოშვილის, ი. ევდოშვილის, ჰ. ლომთათიძის, ლალიონის, მ. გურიელის, ვასილ ბარნოვის, დანიელ ჭონქაძის, შიო არაგვისპირელის, დ. კეზელის, პ. იოსელიანის, ნ. ლომოურის, ა. ფურცელაძის, ს. მგალობლიშვილისა და სხვა მწერლების ბიოგრაფიული და სხვა მასალებისა და დოკუმენტების შეგროვება. ექსპედიციებში მონაწილეობას მიიღებს მუზეუმის 10 მეცნიერი მუშაკი.

ქალაქ თბილისის 1.500 წლის იუბილე

თბილისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი (დირექტორი დ. ბადრიაშვილი) დიდ მუშაობას ეწევა ქალაქ თბილისის დაარსებიდან 1,500 წლის იუბილესთან დაკავშირებით. შედგენილია წიგნი „თბილისი დაარსებიდან 1946 წლამდე". განზრახულია მოეწყოს გამოფენა. ახლო მომავალში დამთავრდება გამოფენის გენერალური თემატიკური გეგმის შედგენა. ამჟამად მუზეუმი აგროვებს და არჩევს ექსპონატებს გამოფენისათვის.

1.300 მრავალშვილიანი დედა

მშრომელთა დეპუტატების მახარაძის რაისაბჭოს აღმასკომს აღრიცხული ჰყავს 1.300 მრავალშვილიანი დედა. ამათგან 82-ს მიღებული აქვს ორდენები და მედლები, ხოლო ოთხს —მ. ნაცვალაძეს, ქ. ბარამიძეს, ვ. ღლონტს და პ. მითაიშვილს—„გმირი დედის" საპატიო წოდება.

მიმდინარე წელს მრავალშვილიან და მარტოხელა დედებს დახმარების სახით მიეცათ 245.147 მანეთი.

საბავშვო ბაღები სოფელ ვაკიჯვარში

ვაკიჯვარში, რომელიც ბახმაროს მთის ძირში მდებარეობს, დასასვენებლად ჩავიდნენ აბრეშუმის ფაბრიკის, საბჭოთა მეურნეობებისა და ჩაის ფაბრიკების საბავშვო ბაღები, მახარაძის ბავშვთა სახლი და ბავშვთა სანატორიუმი. დამსვენებელთა შორის 800-ზე მეტი ბავშვი ფრონტელთა და ომში დაღუპულთა შვილებია.

მოსწავლეთა ბანაკი

დუშეთში გაიხსნა მოსწავლეთა და პიონერთა ბანაკი. ბანაკი მოეწყო აგრეთვე დაბა ფასანაურში, სადაც 250 ბავშვი ისვენებს.

ლექცია

30 ივლისს, საღამოს 8 საათზე, საქართველოს კ. პ. (ბ) თბილისის ორგანიზაციის ორჯონიკიძის რაიკომის პარტკაბინეტში (ლენინის ქ. № 11) შესდგება ამხ. ხულეიმანის ლექცია რუსულ ენაზე. თემა: **„საბჭოთა კავშირის საერთაშორისო მდგომარეობა".**

ბილეთების შეძენა შეიძლება რაიკომის პარტკაბინეტში.

თეატრებში

30 ივლისს: ფილარმონიის საზაფხულო თეატრი — „კოლომბინა".

კინოებში

30 ივლისს: რუსთაველის სახელობის, დამკვრელი (საზაფხულო და ზამთრის), ლუქსემბურგის სახელობის — „ფიცი". ოქტომბერი— „მუსიკალური ისტორია". კომკავშირელი (საზაფხულო და ზამთრის) — „დიდი ვალსი". 26 კომისრის სახელობის (საზაფხულო) — „სილვა", (ზამთრის) — „პარტიული ბილეთი".

სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სახელმწიფო სესხი

(ოთხწლიანი გამოშვება)

მოგებათა 35-ე ტირაჟის

ოფიციალური ცხრილი

ტირაჟი შესდგა 1946 წლის 10 ივლისს ქალაქ მოსკოვში. სსრ კავშირის თავდაცვის განმტკიცების სესხის 35-ე ტირაჟში მოგება ხვდა წაუგებელი გამოშვების ყველა 53 თანრიგის სერიებსა და ობლიგაციების შემდეგ ნომრებს.

სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით	სერიის №№	ობლიგაციის №№	მოგების რაოდენობა მანეთობით
20037	1—50	150	30251	03*)	500
20322	1—50	150	30632	41*)	500
20391	39*)	500	31358	50*)	500
20523	1—50	150	31362	1—50	200
20710	1—50	150	31482	1—50	150
20736	1—50	200	31611	34*)	500
20746	13*)	500	31643	45*)	500
20967	44*)	500	31658	14*)	500
21078	29*)	500	31940	15*)	500
21447	1—50	150	32050	37*)	500
21506	26*)	500	32133	02*)	500
21719	1—50	150	32172	16*)	500
21723	26*)	500	32228	30*)	500
21903	1—50	200	32262	05*)	500
22067	26*)	500	32393	03*)	500
22152	06*)	500	32410	1—50	150
22175	1—50	150	32505	1—50	200
22256	33*)	500	32608	45*)	500
22546	31*)	500	32693	07*)	500
22565	1—50	150	32740	20*)	500
22780	1—50	200	32849	14*)	500
22828	47*)	500	32878	1—50	150
22853	1—50	150	32909	1—50	200
22868	23*)	500	33028	1—50	150
22929	1—50	150	33265	09*)	500
23091	32*)	500	33372	24*)	500
23163	1—50	150	33449	1—50	200
23193	1—50	200	33594	03*)	500
23417	1—50	150	33672	42*)	500
23437	1—50	150	33760	1—50	200
23605	07*)	500	33879	1—50	150
24159	11*)	500	33888	03*)	500
24182	1—50	200	33979	31*)	500
24231	05*)	500	34232	1—50	150
24241	1—50	200	34374	1—50	200
24432	02*)	500	34503	26*)	500
24745	28*)	500	34552	1—50	200
24943	29*)	500	34659	31*)	500
24967	1—50	200	34896	1—50	150
25004	1—50	200	35177	1—50	200
25022	34*)	1000	35189	38*)	500
25058	1—50	200	35377	1—50	150
25111	1—50	150	35386	21*)	500
25602	1—50	150	35639	02*)	500
25852	25*)	500	35803	15*)	500
25004	1—50	200	35819	20*)	500
26024	20*)	500	35850	01*)	500
26035	23*)	500	35895	49*)	500
26042	1—50	200	36003	1—50	150
26084	1—50	200	36030	1—50	150
26085	07*)	500	36087	1—50	200
26087	25*)	500	36094	1—50	150
26591	03*)	500	36400	35*)	500
26604	13*)	500	36403	05*)	500
26742	1—50	200	36404	24*)	500
27006	1—50	200	36512	22*)	500
27020	10*)	500	36657	01*)	1000
27038	07*)	500	36714	36*)	500
27107	1—50	150	36752	17*)	500
27109	28*)	500	36870	35*)	500
27222	14*)	500	37119	11*)	500
27283	31*)	500	37207	33*)	500
27383	25*)	500	37256	1—50	150
27488	10*)	500	37361	1—50	200
27540	1—50	200	37407	17*)	500
27744	1—50	150	37463	1—50	150
28033	33*)	500	37592	26*)	500
28044	1—50	150	37607	24*)	500
28067	1—50	200	37722	1—50	150
28185	13*)	1000	37806	21*)	500
28225	41*)	500	37949	1—50	200
28493	19*)	500	38175	1—50	150
28872	44*)	500	38378	1—50	150
28905	1—50	150	38425	27*)	500
28912	36*)	500	38444	1—50	200
28933	1—50	150	38476	1—50	200
29013	07*)	1000	38718	1—50	150
29016	1—50	150	38728	11*)	500
29030	43*)	500	38812	1—50	150
29072	28*)	3000	38870	09*)	500
29204	35*)	500	38874	35*)	500
29253	01*)	500	38907	23*)	500
29316	39*)	500	38982	1—50	150
29357	1—50	150	39002	1—50	150
29386	1—50	150	39228	1—50	200
29396	13*)	500	39633	03*)	500
29569	03*)	1000	39734	03*)	500
29830	25*)	500	39768	19*)	500
29998	1—50	150	39779	28*)	500
30073	45*)	500	39789	39*)	500
30185	1—50	200			

*) ამ სერიის ყველა დანარჩენ 49 ნომერ ობლიგაციას ხვდა 150 მანეთის მოგება თვითეულს.

სატირაჟო კომისიის თავმჯდომარე
დ. გ. შმაკოვი
სატირაჟო კომისიის პასუხისმგებელი
მდივანი ე. ნ. კალუგინა

პასუხისმგებელი რედაქტორი ბ. ნანიტაშვილი

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო აცხადებს, რომ ბათუმის საბჭოთა ვაჭრობის ტექნიკუმში სწარმოებს მოსწავლეთა მიღება 1946-47 სასწავლო წლისათვის საქონელმცოდნეობისა და საბუღალტრო განყოფილებებზე (ქართული სექტორი). ტექნიკუმი ამზადებს ბუღალტრებს, საქონელმცოდნეებს, მაღაზიის და სექციის გამგეებს.

სწავლის ვადა 3 წელიწადია.

ტექნიკუმში მიიღებიან 14 წლიდან 30 წლამდე ასაკის ორივე სქესის მოქალაქენი, რომელთაც დამთავრებული აქვთ 7 კლასი 1946 წელს და გადავიდნენ მე-8 კლასში. 9 და 10-კლასდამთავრებულნი მიღებულ იქნებიან საქონელმცოდნეობის განყოფილების მეორე კურსზე.

1944 და 1945 წლებში 7-კლასდამთავრებული ფრიადოსნები ჩაირიცხებიან უგამოცდოდ.

გამოცდები იწარმოებს შემდეგ საგნებში:

1. ქართული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 2. რუსული ენა და ლიტერატურა (წერა და ზეპირი), 3. მათემატიკა, 4. სსრკ კონსტიტუცია.

განცხადებების მიღება სწარმოებს უშუალოდ ტექნიკუმში 20 აგვისტომდე.

განცხადებას თან უნდა დაერთოს: განათლების, დაბადების და ჯანმრთელობის მოწმობები, ავტობიოგრაფია და 3 ფოტოსურათი.

მისაღები გამოცდები იწარმოებს 21-დან 29 აგვისტომდე. ყველა ჩარიცხული მოსწავლე უზრუნველყოფილი იქნება სტიპენდიით. შორეული რაიონებიდან ჩარიცხული მოსწავლეები უზრუნველყოფილი იქნებიან აგრეთვე საერთო საცხოვრებლით.

სწავლა დაიწყება 1 სექტემბერს.

მისამართი: ბათუმი, ჯაფარიძის ქ. № 19.

საქართველოს სსრ ვაჭრობის სამინისტრო

გრიგოლ გიორგის-ძე ნიკოლაიშვილი შვილით თეიმურაზით იუწყება **ევგენია (ჟენია) მიხეილის-ასულ კვიტაშვილი-ნიკოლაიშვილის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VII, 6 ს. კალინინის, 70.

ბაგრატ და კაკა ჯაფარიძეები შვილებით და ნ. ჯანჯღავა იუწყებიან **შალვა ზარანდიას** გარდაცვალებას.

ოჯახი იუწყება **სიმონ (სისო) ნესტორის-ძე ლოლობერიძის** გარდაცვალებას. პანაშვიდი 30/VII, 8 ს. გამოსვენება 31/VII, 5½ ს. წერეთლის, 3/5.

მეუღლე ანა, შვილები სოფიო, გაბრიელ, ლევან, გიორგი ოჯახებით იუწყებიან **ზაქარია გაბრიელის-ძე ჩაჩანიძის** გარდაცვალებას. გამოსვენება 30/VII, 6 ს. I პონტონის, 44.

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქუჩა № 28. ტელეფონები: პასუხისმგებელი მდივნის—3-08-67, ხამდივნოსი—3-06-88, განყოფილებებისა: პროპაგანდის—3-82-05, პარტიული ცხოვრებისა და საბჭოთა მშენებლობის—3-81-84, ადგილობრივ კორესპონდენტთა ქსელისა და მშრომელთა წერილების—3-73-24, სასოფლო-სამეურნეო და სამრეწველო ტრანსპორტო—3-80-83, კულტურის, ყოფაცხოვრებისა და ინფორმაციის—3-80-84, მორიგისა და გამომშვებისა—3-31-65, გამომცემლობის—3-51-81, სტამბის დირექტორის—3 [illegible] 70.

ლ. პ. ბერიას სახელობის პოლიგრაფიული კომბინატი „კომუნისტი", თბილისი, ლენინის ქ. № 28.

ტირაჟი 110,000.

უე 00081